სახალხო გაზეთი

№ 311 ხუთშაბათი, 26 მაისი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 311

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

„სახალხო გაზეთი"-ს ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

მოვაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან, ვისაც ხვედრი ფული იმ დროისთვის არა აქვთ წარმოდგენილი—გაზეთის გზავნა შეჩერებულია.

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე დასაზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

წლ.	11 თვ.	10 თვ.	9 თვ.	8 თვ.	7 თვ.	6 თვ.	5 თვ.	4 თვ.	3 თვ.	2 თვ.	1 თვ.
8. 50.	8. —	7. 50.	6. 90.	6. 20.	5. 50.	4. 80.	4. —	3. 20.	2. 40.	1. 60.	— 80.
12. მ.	11. —	10. —	9. —	8. —	7. —	6. —	5. —	4. 50.	3. 50.	2. 50.	1. 25.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

პარასკევ', 27 მაისს, წმ. ნიკოლოზის სამხედრო ტაძარში, (ალექსანდრეს ბაღში), გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის სამსახურ გარეშე მყოფ **პოდპოლკ.**

ხარლამპე პეტრეს ძის არდაზიანის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ შვილი მისი კაპიტანი გრიგოლ ხარლამპეს ძე არდაზიანი. წირვის დასაწყისი დილის 9 საათზე. (1—621—1)

ქართული საზაფხულო თეატრი

კვირას, 29 მაისს,

ვ. გუნია და გ. **არადელი-იმხნელი** გამართავენ იაფ-ფასიან **წარმოდგენას** (20 კ.-დან 2 მ.-დე), წარმოდგენილი იქნება ა. სუმბათაშვილის ცნობილი პიესა

ღალატი

ისტორიული დრამა 5 მოქმედ. გრ. ყიფშიძის თარგმანი.

მომქმედნი პირნი: ზეინაბ—ა. ჩირგაძე, სულეიმან—შ. შარაშიძე, ოთარ—ვ. გუნია, ანანია—გ. არადელი, ერეკლე—მგალობლიშვილი, დათო—ბ. მდივანი, ბესო—ვ. აბაშიძე, საბა—ი. ივანიძე, გაიანე—პიერეტა, რუქაია—ა. კარგარეთელი, ისახარ—ე. ჩერქეზიშვილი.

საზაფხულო თეატრსა და ბაღში დაუკრავს სამხედრო მუსიკა.

დასაწყისი საღამოს 8½ ს. (4—1230—1)

საბურთალოზე მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, **სახლი № 6,** სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათზე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდის. (წ.—1147—54)

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

იყიდება შემდეგი წიგნები:

არჩილ ჯორჯაძისა: „ეროვნულ პრობლემის გარშემო" ფასი 75 კაპ.

Bâton-ისა: „ერი და კაცობრიობა განხილული სოციოლოგიური მხრით".—ფასი 1 მან. 20 კაპ.

ვ. ყიფიანისა: „სამეგრელოს მთავარი ბატონიშვილი ლევან"—ისტორ. დრამა—ფასი 40 კაპ.

ზემო აღნიშნული წიგნები იყიდება აგრეთვე გოლოვინის პროსპექტზე „ახალი სიტყვის" („Новая рѣчь") წიგნ. მაღაზიაში და **ქუთაისში**—მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში.

გამოვიდა და იყიდება საყმაწვილო სურათებიანი მოთხრობები ივანე ელიაშვილისა „სამშობლო ბუნების სარკე" ტფილისში იყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. ქუთაისში თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში. ფასი 30 კაპ. (თვ.—1224—14)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვერცხლის" სასტუმროსთან.

ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეს და ღამეს.

ამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

დავითიანი რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და ბავ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე 1—1 ნახ. ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12 ნახ.—1 ს.

ტრემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

ფირადოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს. **დროებით წასულია.**

ხოზოლევსკი გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

ხულაგოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606"-ით** (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს **50** კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია. კონსულტაცია., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება **და სხვა შედავეთ. საფასურით.** (წ.—1089—472)

ხვალ, პარასკევს, 27 მაისს,

გამოვა ქართული ალმანახი

შუქი

გაიყიდება ყველგან. ფასი 10 კაპ. (3—619—3)

ვაგზლის კერძო

სამკურნალო

გარედან უოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

ვ. ს. ხტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. გ. ხოზოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606"-ით.

(ზო—1090—68)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ანჩის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ი. მ. ახპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

დ. გრეიცი—თვალისა, ყოველ დღე 1—2 ს.-მდე.

მონსე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 სათ.

ნოვიცკი—ბებია ქალებ., ყოველ დღე 1—2 ს.

კალმკაროვი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

უქლობდნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველ-დღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

ხუდონოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—12½ საათ.

სულაკოვი—ყოველ დღე, ქალებ. და საბებიო: 3 ნახ.—4 ნახ. საათ.

რუდენკო—შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

ვესელოვზოროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

იახელაანისა—ქალ. ავად., ორშაბ. ი. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ლიმონი—კბილის ავად. ყოველ დღე 9—11 საათამდე.

დ. ა. მხიტარიანცი—სიფ., ვენერ., დილის 9 საათ. 10 ნახევარ ს. ყ.-დღე.

ყულამქარიოვი—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ყოველდღე 2—3 საათ.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-ს საღამოს 6—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (წ.—1248—50)

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., კვირაობით კი მხოლოდ საღამოთი 6—7 საათამდე გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20.

(წ.—1249—24)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (ე)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე. საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვისა ქ. N 2.

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. ლორისის პროსპ. N 12, ახლი მდ.

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. კაზიონის ქ. ტელეფონი N 816.

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 26. ი—63

კომიტეტი ქვიტკირის ეკლესიის ამშენებელი დ. ზუგდიდში, ამით აცხადებს, რომ 9 **ივნისს, ამა წლისას,** შუადღის 12 საათზე, ეკლესიის გალავანში **დანიშნულია იჯარით გაცემა ეკლესიის აშენებისა.**

ეკლესიის გეგმა, ხარჯთ-აღრიცხვა და სხვა პირობები მსურველთ შეუძლიანთ ნახონ კომიტეტის თავმჯდომარე ბლაღოჩინ-მღვდ. ევგენი შენგელაიასთან.

კომიტეტის თავმჯდომარე მღვდელი **ევგენი შენგელაია.** კომიტეტის მდივანი **ტ. ჯგუშია.** (3—1307—2)

ტფილისი, 26 მაისი

დღევანდელ კრების გამო.

დღეს დაიწყება კრება კავკასიის ქალაქთა და საზოგადოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენლებისა ხოლერისა და შავი ჭირის საწინააღმდეგოდ ზომების შესამუშავებლად. ეს პირველი მაგალითია ამ გვარ კრებისა კავკასიაში. ხოლერა ამ ბოლო დროს სასტიკ მტერად გადაექცა მთელს უზარმაზარ რუსეთის იმპერიას. როგორც უკვე გამოკვლეულია სტატისტიკურ ცნობებით შარშან, ე. ი. 1910 წელს, მთელს რუსეთში ხოლერით ავად გახდარა 200 ათასს ადამიანზე მეტი. ამათში 38.216 ადამიანი—344 სხვა და სხვა ქალაქებში გახდა ავად და 195,016 ადამიანი—11.502 სხვა დასახლებულ ადგილებში. ეს ციფრებიც საკმარისია იმის დასამტკიცებლად, თუ რაოდენად მოედო ხოლერა რუსეთის იმპერიას: 12 ათასსამდე დასახლებულ ადგილს იჩინა თავი ადამიანის ამ სასტიკმა მტერმა. არც კავკასია და მით უმეტესს ამიერ კავკასია დაივიწყა ხოლერამ და გარდა ქალაქებისა—დაბასოფლებსაც მოედო.

შედარებით ნაკლებად იყო გავრცელებული შავი ჭირი, ეს მეორე კიდევ უფრო სასტიკი მტერი ადამიანისა. ოდესსა და ზოგიერთი ნაწილები ასტრახანის გუბერნიისა—აი ის ადგილები, სადაც შავმა ჭირმა იჩინა თავი ევროპის რუსეთში, მაგრამ ამას დაერთო ეპიდემია შავი ჭირისა მანჯურიაში, ეპიდემია, რომელმაც მთელი ევროპა აალაპარაკა და შეაშფოთა.

კავკასია, რომელიც ევროპისა და აზიის შუა გზაზე და ორ ზღვას შუა მდებარეობს, რა თქმა უნდა, ცუდ პირობებში არის ჩამდგარი და ყოველთვის უნდა მოელოდეს ეპიდემიის გაჩენას. ამიტომ კავკასიის ქალაქთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების კრების მოწვევას, ხოლერისა და შავი ჭირის საწინააღმდეგო ზომების შესამუშავებლად, დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ კი კრება წვრილმანებს არ გამოუდგება და უმთავრეს საკითხებს მიაქცევს ყურადღებას. ხოლერისა, შავი ჭირის და საზოგადოდ გადამდებ და მოარულ სნეულებათა საწინააღმდეგოდ ორ-გვარი ზომები შეიძლება იქნეს მიღებული. ერთი ისეთი, რომელიც სპობს უკვე გაჩენილ ეპიდემიასა და მეორეც ისეთი, რომელიც სრულიად შეუძლებლადა ჰხდის ეპიდემიის გაჩენას. აი საერთოდ უმთავრესი პრინციპები გადამდებ და მოარულ სნეულებათა საწინააღმდეგო ბრძოლისა. საუბედუროდ დღეს-დღეობით უმთავრეს ყურადღებას აქცევენ პირველს ე. ი. უკვე გაჩენილ ეპიდემიის ჩაქრობას და ნაკლებად ჰფიქრობენ მეორეზედ ე. ი. ქალაქებისა და დასახლებულ ადგილთა იმ გვარ პირობებში ჩააყენებს, რომ იქ სრულიად შეუძლებელი იყოს ეპიდემიის გაჩენა. საჭიროა, რომ ეხლანდელი კრება არ შევიდეს ამ შეცდომაში და მხოლოდ უკვე გაჩენილ ეპიდემიის ჩასაქრობ ზომებს არ მიაქციოს უმთავრესი ყურადღება. ინგლისმა და დასავლეთ ევროპის კულტურულ სახელმწიფოებმა არ იციან, თუ რა არის შავი ჭირი და ხოლერა. იქ იმ გვარი პირობებია. რომ შეუძლებელია ამ სნეულებათა გავრცელება. რას წარმოადგენს ეს პირობები? პირველი—საერთოდ განათლება და მაღალი კულტურა ხალხის ფართო წრეებისა შემდეგ კი რაციონალური მოწყობა ქალაქებისა და დასახლებულ ადგილთა, მათი კარგი სანიტარული მდგომარეობა. ჩვენში კი თვით ტფილისშიც, ამ უმთავრეს ქალაქში კავკასიისა, ყოველგან არ არის გაყვანილი წყლის საყვანი და მრავალ ადგილს არ არის მოწყობილი კანალიზაცია, რაღა ითქმის სხვა ქალაქებზედ? ავიღოთ მაგალითად ქუთაისი. იქ არც კანალიზაციაა სრულიად და არც წყლის საყვანი და დღესაც როდესაც ქალაქში 60 ათასი მცხოვრებია ისეთივე პირობებია სანიტარული, როგორც ამ ნახევარ საუკუნის წინეთ იყო. აი ამას უნდა მიექცეს უმთავრესი ყურადღება და თუ ჩვენს ქალაქების მამებს სურთ, რომ შავი ჭირისა და ხოლერის შიში არ იყოს, უნდა გააუმჯობესონ საერთოდ ქალაქების და დასახლებულ ადგილთა სანიტარული მდგომარეობა. ნუ ზოგვენ ნურავითარ ხარჯებს ამ მიზნის მისაღწევად და მაშინ არც მოულოდნელი ხარჯები ექნებათ, ხარჯები, გამოწვეული ეპიდემიის ჩასაქრობ ზომების მისაღებად.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ბ-ნი არტემიუსი გაზეთ „მშაკის" № 108-ში ქართულ თეატრში გამართულ ბალეტისა და საიერნობაზე რეცენზიასა სწერს და ამბობს:

„უღრმეს გულის სიამითა ვსწერთ ერთ სასიხარულო მოვლენის შესახებ. პრესის ერთი ნაწილის და განსაკუთრებით „მშაკის" ნაქადაგებ სოლიდარობის იდეა თან და თან ნიადაგს პოულობს. ერთა მძულვარების კაშკარი იფანტება ჩემი ნათქვამის ნათელსაყოფელად ის მოვლენაა, რომ ამ საიერნობის დროს ბაღში, თუ წარმოდგენის დროს, ბლომად შევხვდით სომხებს, რომელნიც მოსულიყვნენ, რათა თავიანთი წვლილი შეეტანათ დრამატიულ საზოგადოების ნივთიერ გაუმჯობესების საქმეში. ამის და გვარი წამქეზებელი მოვლენანი, ერთი იმ საშუალებათაგანია, რომლითაც დაახლოვება მოხდება ორ ერთა თავისუფალ მოაზრე ინტელიგენციისა და შეგნებულ ელემენტთა შორის, რაც ხელს შეუწყობს ურთიერთ დამოკიდებულების გაუმჯობესების საქმეს, ერთმანეთთან დაახლოვებას, სომხის და ქართველ ინტელიგენციის შეგნებულ მოწინავე ელემენტს, რომელთა შორის არსებული კედელი უკვე ინგრევა. ქება-დიდება იმ მოღვაწეთ, პრესის იმ ნაწილს, რომელიც ხელს შეუწყობს ამ კედლის საბოლოოდ დარღვევას, რის ნანგრევებზეც აღმოცენდება ახალი, ნორჩი და საუკეთესო მცნება სოლიდარობისა და ძმურის სიყვარულისა.

დიდება მომავალ საუკეთესო დღეებს".

შემდეგ ბ-ნი არტემიუსი ბოდიშს იხდის მკითხველის წინაშე, რომ ძალა უნებურად დაშორდა წერილის საგანს და განაგრძობს:

«მაგრამ მე ბრალი არა მაქვს, ვინაიდან ჩვენ უნუგეშო სინამდვილეში, თუ არის ბრწყინვალე ვარსკვლავი, რომელმაც უნდე გვასულდგმულოს ყველანი,—ეს მომავლის გამარჯვებაა, სოლიდარობის ბრწყინვალე იმედია, რომელიც დამის წყვდიადში ბრწყინავს როგორც მიმზიდველი საიმედოდ მოკამკამე ვარსკვლავი. უდიდესი საქმე უკვე დაწყებულია; საჭიროა მხოლოდ ძალა მივცეთ, ღონით შევავსოთ, გამაცოცხლებელი სული ჩავბეროთ, წინ წავსწიოთ და უდიდებულესი მომავალი უსათუოდ ჩვენი იქნება. ქართული პრესის მოვალეობაა აღნიშნოს ამ სოლიდარობის თუმც პაწაწა, მაგრამ თვალსაჩინო დამამტკიცებელი საბუთი და უქადაგოს ქართულ საზოგადოებას სოლიდარობის აზრი, რომელიც მას უდიდეს მიზანს წარმოადგენს. საკმარისი არ არის სოლიდირობაზე მხოლოდ ლაპარაკი, საჭიროა უეჭველი რეალური ნაბიჯები დიდის მიზნის განსახორციელებლად».

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **ნამესტნიკის საბჭოს კრება** 28 მაისს მოხდება.

✦ **ნამესტნიკის თანაშემწე სენატორი ვატაცი** 24 მაისს განჯის გუბერნიიდან ტფილისში დაბრუნდა.

✦ **მიტროპოლიტ ანტონის წამოსვლა კავკასიისაკენ.** 19 მაისს პეტერბურგიდან, სწრაფი მატარებლით კავკასიისაკენ პეტერბურგის მიტროპოლიტი ანტონი წამოვიდა. ანტონი კავკასიის მინერალურ წყლებზე დარჩება საექიმოდ.

— უწმინდეს სინოდის განკარგულებით საბჭოს მეორე ქორ-ეპისკოპოსი პიმენი საქართველოს საეკლესიო სამღვდელო სამოსწავლო საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა.

✦ **ავიატორი.** ამ ჟამად ტფილისში ახალგაზდა ავიატორი მოსიროვი იმყოფება, რომელსაც ფრენა სახელ-განთქმულ ბლერიოს სასწავლებელში შეუსწავლია. ეხლა მას მოუსურვებია ტფილისში და სხვა კავკასიის ქალაქებში აფრინდეს, თუ ისეთი პირები ნახა, რომელნიც ფრენას მოაწყობენ.

✦ **მუხრანის ხიდზე** ელექტრონის ტრამვაის მოძრაობა 24 მაისს დაიწყო.

✦ **მტკვარში დაიხრჩო** ბანაობის დროს რეალურ სასწავლებლის მოსწავლე კუზმა გერასიმეს ძე გამოვი. დამხრჩვალის გვამი ვერ იპოვეს.

✦ **სამართალში აძლევენ** რაჭის მაზრის უფროსად ნამყოფს ნ. ი. შლოტგაუერსა და ონის ბოქაულად ნამყოფს ნ. ს. დგებუაძეს, რომელთაც სამსახურის დროს ბოროტმოქმედებათა ჩადენა ბრალდებათ.

✦ რადგან **პატენტებს** მალე ვადა გასდის ტფილისის პოლიცმეისტერმა განკარგულება დაუგზავნა ბოქაულებს, რომ ქალაქის საბჭოს თვითმართველობის დადგენილების თანახმად, ახალ პატენტების გაცემის დროს ყურადღება მიაქციონ,

რათა ერთსა და იმავე შენობაში, ორი, ან მეტი ტრაქტირი და სხვა ასეთი დაწესებულება არ იყოს.

— რედაქციამ მიიღო **საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადულის“** მაისის ნომერი. საინტერესოდ არის შედგენილი. ჩართულია ეკატერინე გაბაშვილის ბიოგრაფია სურათებით, სომხის მწერალ შირვანზადეს ბიოგრაფია და სურათები. აგრეთვე მისივე მოთხრობა: „ცეცხლი ნავთის ქარხანაში.“

◆ **მაზრის უფროსის განკარგულება.** ტფილისის მაზრის უფროსმა თავადმა ჯანდიერმა სამაზრო საპოლიციო მოხელეთ ცირკულიარი დაუგზავნა, სადაც აღნიშნა, რომ მოხელენი კარგად ვერ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. მომხდარ ამბების შესახებ მოხსენებაში ხშირად იმაზე ლაპარაკობენ ვრცლად, რაც სრულიად არ არის საჭირო. მეორე მხრივ მუდამ ერთსა და იმავე ფრაზას სწერენ „აღმოსაჩენად მიღებულია ზომები“ და თუ რა შედეგი მოჰყვა ზომების ამ მიღებას, არსაიდან არ იწერებიან. ამიტომ უბრძანებს, რომ მოვალეობა ვრცელ ცირკულიარის მიხედვით იყოს აღსრულებული რომელიც თვით მან შეადგინა. წინააღმდეგ შემთხვევაში სასტიკად დასჯებიან.

◆ 24 მაისს ტფილისში შეიპყრეს 29 უპასპორტო.

◆ 24 მაისს ალექსანდროპოლის ქუჩაზე შეიპყრეს თათევოს გრიგოლის ძე ავაკიმოვი, რომელიც გადასახლებული იყო და ტფილისში თავისი ნებით დაბრუნდა.

— ქალაქის გამგეობასთან არსებულ სამკურნალო-სანიტარო ბიუროს ცნობებით 11 მაისიდან 20 მაისამდე ტფილისში ავადმყოფობა შემდეგ მდგომარეობაში იყო:

არამიანცის საავადმყოფოში 11 მაისისათვის იყო სულ 127 ავადმყოფი, ათ დღეში მიემატა—58, მორჩა და გამოეწერა—57, გარდაიცვალა—7, 21 მაისისათვის დარჩენილა 119 ავადმყოფი.

— ბარაკებში გადამდები სენით ავადმყოფები 11 მაისისათვის იყო: ყელჭირვებით—9, მიემატა—1, 21 მაისისათვის დარჩა—10, ხუნაგით იყო 10; მიემატა 16, გარდაიცვალა—[illegible], დარჩა—18, საოფლით იყო—3, მიემატა—2, გაეწერა—1, დარჩა—4, ყვავილით იყო—2, გამოეწერა—1, გარდაიცვალა—1, 21 მაისისათვის დარჩენილა სულ 32 ავადმყოფი.

— ტფილისის ალექსანდრეს სახელობის ვენერიულისა და ტ.-ნის ავადმყოფობის საავადმყოფოში 11 მაისისათვის ავად იყო: 18 კაცი და 35 ქალი, ათი დღის განმავლობაში ახლად ჩაეწერა—26 კაცი და 15 ქალი, გამოეწერა 22 კაცი და 9 ქალი, ასე რომ 21 მაისისათვის დარჩენილა 32 კაცი და 41 ქალი

— ქალაქის სულით ავადმყოფთა თავშესაფარში 11 მაისისათვის იყო: 29 კაცი და 21 ქალი; 10 დღეში ავად არავინ გამხდარა.

— გუშინ 12 საათზე ტფილისელების ყურადღება მიიპყრო ჰაერში მცურავმა გველმა, რომელიც ტფილისის ფიზიკურ ობსერვატორიიდან აუშვეს.

— 24 მაისს „კრაინი“ აღმართზე იოსებ გიორგის ძე შავლიშვილმა ჩხუბის დროს დანით დასჭრა გვერდში გიორგი მიხეილის ძე ტერ-საკოვი, რომელიც მიხეილის საავადმყოფოში იქმნა გაგზავნილი სამკურნალო დახმარების აღმოსაჩენად.

საზოგადოებანი და კრებები

◆ დღეს, 12 საათზე, ძმ. ზუბალაშვილების სახელობის სახალხო სახლში მოხდება კრება კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა, ხოლერისა და შავი ჭირის საწინააღმდეგო ზომების მიღებისათვის.

◆ **ქალაქის საბჭოს** მომავალი კრება 2 ივნისს მოხდება.

სასწავლებლებში

◆ სამშაბათს 24 მაისს, **ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების სამუსიკო სასწავლებელში** მოსწავლეთა საჯარო გამოცდა მოხდა. მოსწავლეთა უმეტესობამ ძლიერ კარგი ცოდნა და ტეხნიკა გამოიჩინა. სუსტები თითქმის არ აღმოჩნდნენ.

◆ როგორც მოსკოვიდან გვატყობინებენ, წელს იურიდიული ფაკულტეტი **დაუმთავრებია: ლევან ასათიანს, პარმენ ჯაფარიძეს, გიორგი ჟორდანიას და პარმენ კახიანს.**

სომხების ცხოვრება

◆ ეჩმიაძინიდან სომხურ გაზეთებს ატყობინებენ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ეჩმიაძინის სინოდისათვის ცნობა გამოგუზავნია და უცხადებს: კათოლიკოსად არქიმანდრიტის ანუ ერის კაცის არჩევა შეუძლებელია, რადგანაც ეს საკათოლიკო არჩევნების წესდებას და სომეხთა ეკლესიის ტრადიციებს ეწინააღმდეგებაო. კათოლიკოსად არჩევა მხოლოდ ეპისკოპოზისა და არქიეპისკოპოსის შეიძლებაო.

◆ ამ დღეებში ეჩმიაძინს გაემგზავრებიან მხატვრები: გ. ბაშინჯაღიანი, გრინევსკი და სხ., რომელნიც ეჩმიაძინის მონასტრის განმაახლებელ კომიტეტის სხდომებში მიიღებენ მონაწილეობას.

◆ დაშნაკცაკანების საქმის გამოძიება დამთავრდა და ნოვოჩერკასსკის სამოსამართლო პალატის ბრალმდებელს გადაეცა.

◆ მოსკოვში მცხოვრებ მდიდრებს ძმ. გეორქოვებს 25 ათასი მანეთი შეუწირავთ სოფ. ქალაქიკ (ერევნის გუბერნია) პირველ დაწყებითი სკოლის ასაგებად. გარდა ამისა ამავე ქველმოქმედთ ამავე სოფლის ეკლესიის განსაახლებლად 1000 მან. გადაუდვიათ.

რკინის გზაზე.

◆ კავკასიის რკინის გზის უფროსი **გენ. ნეიგებაუერი** მძიმე ავად გახდა. გუშინ წინ ავადმყოფი პეტერბურგს გაემგზავრა საქიმოდ.

◆ 22 მაისს ძირულისა და ხარაგაულის სადგურებ შუა 133 ვერსზე ტფილისში მომავალი სახალხო მატარებელი დაეწია ლიანდაგზე მიმავალ ქალს და ორივე ფეხი და ცალი ხელი მოსწყვიტა. დაშავებული ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში გაჰგზავნეს. ვინაობა ჯერ ვერ გამოიკვლიეს.

ქუთაისი

◆ ქალაქის მოურავი ი. მ. ჩიქოვანი, სანიტარო ექიმი ი. ი. ჩარექოვი და ექიმი ხმოსანი დ. ა. ნაზაროვი 25 მაის ტფილისს წამოვიდნენ, **კავკასიის ქალაქთა წარმომადგენლების კრებაზე** დასასწრებად, სადაც ქალაქის მოურავი ი. მ. ჩიქოვანი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „ქუთაისის საჭიროებანი სანიტარულ კეთილმოწყობის საქმეში“; სანიტარო ექიმი ჩარექოვი კი წაიკითხავს: „ხოლერა ქუთაისში 1910 წელს“.

ამავე კრებაზე დასასწრებლად შავი ქვის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე თ-დი კიტა აბაშიძე და ექიმი მუხაძე წავიდნენ.

◆ ქუთაისში უკანასკნელ დღეებში მეტად **აცივდა** ამის მიზეზი ის არის, რომ ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებში თოვლი მოსულა.

◆ 21 მაისს ქალაქის საბჭომ დაუნიშნა ჯამაგირად ქალაქის მოურავის მოადგილეს წლიურად 600 მანეთი: ამგვარად, ქალაქის მოურავის მოადგილეს ექნება წლიურად: ჯამაგირი, როგორც ქალაქის გამგეობის წევრს—1800 მანეთი; როგორც ქალაქის მოურავის მოადგილეს—600 მან. და ეტლის ფულად 300 მანეთი, სულ 2.700 მანეთი.

◆ ამავე სხდომაზე ქალაქის საბჭომ 21 ხმის უმეტესობით 1 წინააღმდეგ ქალაქის მოურავის მოადგილედ აირჩია **პ. ი. მოსიძე**.

◆ საგუბერნიო საპატიმროში სახადი გაჩენილა.

◆ 21 მაისს ქუთაისში ჩამოვიდა სახელმწიფო საათაბიროს წევრი **ივ. გეგეჭკორი.**

ბათომი.

◆ 22 მაისს საღამოს 10 საათზე ბათომში ავაზაკებს დაუჭრიათ ყველასაგან დიდად პატივცემული ექიმი-ქირურგი, ქალაქის საავადმყოფოს დირექტორი ბ. პრიანიშნიკოვი. თურმე წინად მუქარის წერილების გამო ბ. პრიანიშნიკოვმა კიდევაც დასტოვა ბათომი და რუსეთში გადასახლდა, მაგრამ ქალაქის თხოვნით ისევ დაბრუნებულა. ქალაქის მცხოვრებლებზე ასეთმა მოულოდნელმა ბოროტმოქმედებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ბაქო

◆ 23 მაისს **საქალაქო არჩევნები** მოხდა; სულ 52 ხმოსანი აირჩიეს. აქედან 34 მუსულმანია 15—სომეხი და 3 რუსი.

— **კავკასიის ნამესტნიკმა ბძანება გასცა**, რომ გადასახადების განაწილება ქალაქ ბაქოსა და გუბერნიაში დასრულებულ იქნეს 15 ივნისისათვის. სახელმწიფო გადასახადი უდრის 325 ათას მანეთს, საერობო გადასახადი ქალაქის უძრავ ქონებისაგან კი—288,900 მანეთს.

— არამიანცის ნავთის სამრეწველოში ბალახანაში, 15 მაისს მუშები გაიფიცნენ. გაფიცვის მიზეზი ჯამაგირების მიუღებლობა იყო. ბევრი გაფიცვაში მონაწილე პოლიციამ შეიპყრო, მაგრამ ისევ მალე გაანთავისუფლა. ქარხნის ინსპექტორმა დააკმაყოფილა მუშების მოთხოვნილება და მუშაობა 21 მაისს ისევ განახლდა.

პროვინცია

— **რუისში** (გორის მაზრა) დაბადებულა წვერ-ულვაშიანი ბავშვი. ბავშვი სრულიად ჯანსაღი და მეტად მალხაზი ყოფილა, მხოლოდ მთელი ტანი ბალნით ქონია დაფარული. ბავშვი ეხლა 8 თვის ყოფილა. ბ. კალატოზიშვილს 60 მანეთის მიცემა აღუთქვამს მშობლებისათვის, რათა ბავშვი მას დაუთმონ ტფილისში ხალხის საჩვენებლად.

შეცდომის გასწორება. ბ-ნ დ. კასრაძის ფელეტონში „ბ-ნ გრ. რობაქიძის ლექციის გამო“, შემდეგი უმთავრესი შეცდომებია:

მეხუთე სვეტზე, ბოლოდან მერვე სტრიქონში დაბეჭდილია: **ნიცშე—სიმკაცრის**, უნდა იყოს: **ნიცშე სიმკაცრის მქადაგებელი.**

მეექვსე სვეტზე, მერვე სტრიქონში თავიდან: **ფილოსოფიურ თეორიის კრიტიკა, რამდენადაც იგი იმმანენტურია.**

მეშვიდე სვეტზე მეოთხე სტრიქონში ბოლოდან დაბეჭდილია: „ჭეშმარიტია ამ კულტების მოვლენა, თუ არა“.

უნდა იყოს: ჭეშმარიტია ამ კულტების გავლენა, თუ არა.

მერვე სვეტზე, მერვე სტრიქონში თავიდან დაბეჭდილია: „ანტიურ ქვეყნიდან ამოჰკრიბეს მრავალ ნეოელინისტების სახელები“ უნდა იყოს: **ნეოცინისტების სახელები.**

საადგილ-მამულო

ბანკის რწმუნებულთა კრება

23 მაისი.

წინა კრების ოქმის დამტკიცების შემდეგ **თავმჯდომარე** აცხადებს: წლიური ანგარიში და ბანკზე დარჩენილ მამულების მდგომარეობა თუმცა ვიწროდ არიან დაკავშირებულნი, მაგრამ დროს მოსაგებად უმჯობესად მიმაჩნია ფინანსიური ანგარიში გავაცალკევოთ. ამიტომ ვთხოვ იმ პირთ, რომელნიც ილაპარაკებენ წლიურ ანგარიშზე, ბანკზე დარჩენილ მამულებს ნუ შეეხებიან.

გამგეობის თავმჯდომარე თავ. ფაღავა კითხულობს გამგეობის მოხსენებას წლიური ანგარიშის შესახებ.

თ-დი მ. ფაღავა. უმჯობესად მიმაჩნია ცალ-ცალკე განვიხილოთ ზედამხედველი კომიტეტის შენიშვნები, თორემ საერთო განხილვა ბაასს გააგრძელებს.

ილ. მესხი. აქ ბევრი კორესპონდენტია; ისინი ყალბ ცნობებს აწვდიან გაზეთებს—ვითხოვ, რომ მათი ცნობები გაზეთში გაგზავნამდის თავმჯდომარემ განიხილოს.

გ. ფ. ზდანოვიჩი. ვეთანხმები ბ-ნი ფაღავას წინადადებას და ზედამხედველი კომიტეტის შენიშვნებს ცალცალკე განვიხილავთ.

თ-დ მ. ფაღავა. ზედამხედველი კომიტეტი გვისაყვედურებს, ანგარიშში მოხსენებული არ არის რაოდენობა გაცემული სესხისა და რაოდენობა გირავნობის ფურცლებისაო. ეს ფორმალურად წესდებით თუმცა სავალდებულოა, მაგრამ არც ერთი ბანკი რუსეთში და მათ შორის ჩვენიც არ ათავსებდა ამ ცნობებს და მასთან არც ერთხელ არ აღუნიშნავს ეს გარემოება საკრედიტო კანცელარიას და სამინისტროს. ესეც რომ არ იყოს, ზედამხედველ კომიტეტს შეეძლო ეს მისი აზრით ნაკლულოვანება გაეხსენებინა ჩვენთვის და თუ არ შევასრულებდით, მაშინ შენიშვნაც წესიერი იქნებოდა, ხოლო ეხლა ასეთი შენიშვნის მოთავსება ზედ. კომ. მოხსენებაში გარდა იმისა, რომ არღვევს ერთხელვე მიღებულ წესს, მავნებელია დაწესებულებისათვის და ამიტომ ვთხოვ ზედამხედველი კომიტეტის მიერ აღნიშნული ფორმალური ნაკლულევანება, გაბათილებული იქნეს.

თ-დი დ. მიქელაძე. კრების ერთმა ნაწილმა რუსული არ იცის. საჭიროდ მიმაჩნია თ-დ ფაღავას განმარტება ქართულადაც მოჰხსენდეს კრებას.

კრება ითხოვს ქართულ განმარტებას, რასაც ასრულებს თ-დი დ. მიქელაძე.

ალ. კრინიცკი. არ მესმის, რად გვჭირდება ქართული განმარტება, როცა ჩვენ აქ ყველა ქართველები ვართ და ქართულადვე უნდა ვიბაასოთ.

ი. ფანცხავა. ანგარიში რუსულად არის დაწერილი, რუსულად ილაპარაკა მოპირდაპირემ და შეუძლებელია ეხლა ქართულად ვუპასუხოთ (ლაპარაკობს რუსულად). ზედამხედველი კომიტეტის უპირველესი მოვალეობა წესდების დაცვაა. როცა ჩვენ განვიხილეთ ანგარიში, აღვნიშნეთ, რომ რამდენიმე § წესდებისა არ სრულდება და ჩვენ მოვალეთ ჩავთვალეთ ჩვენი თავი, ეს აღგვენიშნა. ჩვენ ვიცით, რომ ბანკები, სხვებიც და ჩვენიც, არ ათავსებდნენ, მაგრამ ეს საკმაო არ არის, რომ წესდება არ შესრულდეს, ვიდრე შესაფერი § წესდებისა არ შეიცვლება.

არსებითად მსესხებლის რაოდენობის მოთავსებას ის მნიშვნელობა აქვს, რომ გირავნობის ფურცლების პატრონებს შეუძლიანთ გარკვეული აზრი შეადგინონ, რამდენად საფუძვლიანადაა დაყენებული დაწესებულება. თ-დი ფაღავა ერთის მხრით უმნიშვნელოდ სთვლის ჩვენს შენიშვნას და მეორე მხრით ითხოვს, რომ ჩვენი შენიშვნა გაუქმდეს, რადგან მას, მის აზრით, არა სასურველი შედეგი შეუძლია მოჰყვეს. ეს ჩემის ფიქრით აზრთა წინააღმდეგობაა.

ალ. საყვარელიძე. წესდებაში ნათქვამია „ეს ცნობები უთუოდ უნდა იყოს მოთავსებული ანგარიშში“. იქნება აქ ცნობების მოპოვება და მოთავსება ძნელია, მაგრამ, როცა სტატისტიკური განყოფილება გვექნება, ეს გაადვილდება. თ-დი ფაღავას შიში, რომ ჩვენი შენიშვნა არა სასურველად იმოქმედებს უსაფუძვლოა, რადგანაც ვამბობთ, ანგარიში სწორედ არის შედგენილი.

გ. ზდანოვიჩი. ეჭვი არ არის, ფორმალური მხარე დარღვეულია, ხოლო ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ბანკის საქმეებზე და ამიტომ ან კრებამ უნდა დაავალოს გამგეობას მოათავსოს ეს ცნობები, ან და აღძრას შუამდგომლობა წესდების შეცვლის შესახებ. ამიტომ შემდეგი წინადადება შემომაქვს: რადგან ზედამხედველი კომიტეტის მიერ აღნიშნული ცნობები არ თავსდებოდა, არც ჩვენი ბანკის და არც სხვა ბანკების ანგარიშებში და თან არც სამინისტროს მიუქცევია ყურადღება ამ გარემოებისათვის, ამიტომ შუამდგომლობა აღიძრას, თუ რომ ეს ცნობები ანგარიშში დამატებად მოთავსდეს.

კრება თავმჯდომარის აზრსა ღებულობს.

მ. ფაღავა: ზ. კ. გვისაყვედურებს, რომ ნაღდი ფული 1861 ათასი მანეთი გვქონდა. იმ დროს ვალად გვედო 3501 ათასი მანეთი სახელმწიფო ბანკისა და ამით ზარალი მივაყენეთ ჩვენს დაწესებულებას. არა თუ ჩვენ, უბრალო ვაჭარიც კი ინახავს ნაღდს ფულს ყოველ შემთხვევისათვის.

1 იანვარს ნაღდი ფული ყოველთვის უნდა გვქონდეს კუპონების გასანაღდებლად, რაც, გარდა სახელმწიფო ბანკისა, ყველა საკრედიტო დაწესებულებაში ხდება. ამისთანა პირობებში ზ. კ. საყვედური უსაფუძვლოდ მიგვაჩნია. ჩვენი მდგომარეობა არა სასიამოვნო იყო, როცა ბანკის გამგეობის სათავეში ჩავდექით. მაშინ 2501 ათასი მანეთის გირავნობის ფურცლები ზედმეტად ტრიალებდა ბირჟაზე და ყოველი ღონე უნდა გვეხმარა, ეს ფურცლები გამოგვეტანა ბირჟიდან. ამისათვის ნაღდი ფული ჩვენთვის დიდად საჭირო იყო. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო ბანკის ვალი მინიმუმამდე შევამცირეთ.

ი. ფანცხავა. ჩვენი შენიშვნა ეხება იმ ბანკებს, სადაც საჭირო არ არის იმდენი ფული შეინახოს, როგორც აღნიშნულია ანგარიშში. გამგეობამ ყურადღება უნდა მიაქციოს ფულის რაოდენობას სხვადასხვა ბანკებში და სადაც დიდი ფულის შენახვის საჭიროება არ არის, ვალი შემციროდეს.

ალ. კრინიცკი. ზედამხედველ კომიტეტს კარგა ვერ უნებებია, როცა ეს საკითხი ჩვენ განსახილველად გადმოუტანია—იგი უნდა განხილულიყო გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტის მიერ და იქვე უნდა მოწესრიგებულიყო. რაც შეეხება იმას, რომ ქუთაისის საურთიერთო ბანკში ჰქონია გამგეობას 47 ათასი მანეთი, ამისთვის გამგეობა მადლობის ღირსია, ხოლო საყვედური ეკუთვნის მასვე, რომ ტფილისში იმდენი ფული აქვს შენახული სხვა და სხვა ბანკებში, და ერთი კაპეიკი არა აქვს სამეურნეო საურთიერთო ბანკში, რომელიც ჯერ ერთი ქართული დაწესებულებაა და დახმარება სჭირია და მერე თვით ბანკი ნაკლები ნდობის ღირსი არ არის, ვიდრე სხვა ტფილისის ბანკები. ჩემის აზრით, ჩვენმა ქართულმა დაწესებულებებმა ერთმანეთს უნდა შეუწყონ ხელი.

თავმჯდომარე გ. ზდანოვიჩი. ფულის შენახვის უფლება ამა თუ იმ ბანკში გამგეობას ეკუთვნის და თუ გამგეობის მოქმედებაში ზ. კომიტეტი აღნიშნავს შეცდომას, მაშინ საკითხი შეერთებულმა სხდომამ უნდა განიხილოს და არა საზოგადო კრებამ.

კრება ღებულობს თავმჯდომარის ფორმულას.

თ-დ ფაღავა. დებეტორების ანგარიში-შარშანდელს აქეთ არ შეცვლილა, მაგრამ ზ. კ. მაინც გვისაყვედურებს და მაგალითად მოჰყავს ბანძის ამხანაგობა, უთუოდ იმისთვის, რომ მე ბანძელი ვარ. ბანძელ ამხ. მიეცა ფული 33 წლის წინად. გვისაყვედურებენ ალ. ერისთავს უწყება არ ჩააბარეთო. უწყებას აბარებს სასამართლო და არ ჩვენ. ვერ იპოვეს ა. ერისთავი და ამაში ჩვენ დანაშაული არ მიგვიძღვის.

ს. ბახტაძე. შარშან კენჭის ყრაში მიიღო მონაწილეობა.

მ. ფაღავა. მაშინ მე არჩეული არ ვიყავი და ხელს ვერ ვტაცებდი.

ალ. საყვარელიძე. დებეტორების ანგარიშები უბედურს დღეზეა დაბადებული. როცა ჩვენ წარმოგვიდგინეს დებეტორის ანგარიშები, იქ ამოვიკითხეთ გამგეობის შენიშვნის მიმდინარე მაისის თარიღით „Предъявить искъ“, ჩვენ-კი დავავალეთ გამგეობას, რომ შარშანდელ ეკენისთვემდის უნდა შეეტანათ საჩივარი.

ალ. ერისთავს უწყება ვერ ჩავაბარეთო—მაშინ როდესაც იგი შარშან რამდენიმე დღე აქ იყო კენჭის ყრის დროს ასისტენტად. ნუ თუ მაშინ არ შეეძლო იურისკონსულტს ჩხეიძეს უწყების ჩაბარება? მაგრამ აქაც ჩვენი ჩვეულებრივი დაუდევრობა...

ი. ფანცხავა. გამგეობამ არაფერი გვითხრა იმ მოვალეების შესახებ, რომელნიც ბანკის სამსახურში ითვლებიან. გამგეობას შეეძლო ამ პირთაგან ჯამაგირიდან ფულის გამორიცხვა ვალის შესამცირებლად, მაგრამ გამგეობამ ეს არ ინება.

კიტა აბაშიძე. ყოველიფერი შესაწყნარებელია, მაგრამ როცა ჩვენი მოსამსახურე ფულს გაფლანგავს, და გარდა ამისა გადახდას გაურბის და ამავე დროს რწმუნებულის სახით მოგვევლინება ხოლმე და ჩვენი საქმეების მსვლელობაზე გავლენას ახდენს, მაშინ ჩვენ ასეთი მოსამსახურე ნამყოფი სამართალში უნდა მივცეთ. შარშან ამავე კრებაზე ბ-ნი ალ. ერისთავზე რომ გვითხრეს, ვერ ვიპოვეთ, უწყება ვერ ჩავაბარეთ, პატარა ხანს უკან კრებაზე გაჩნდა და აგიტაციას ეწეოდა. ნუ თუ ეს შესაწყნარებელია რომელიმე საზოგადოებაში. შეცდომა ყველას მოუვა და ამისთანა შემთხვევაში სულგრძელობა უნდა გამოვიჩინოთ, მაგრამ როცა შეცდომას უტიფრობაც მოსდევს, მოვალენი ვართ ასეთ-პირებს ჯეროვანად მოვეპყრათ. არც ის მესმის, რანაირად მოეწყო საქმე, რომ უწყება ალ. ერისთავს ვერ ჩააბარეს-უკაცრავად კი ვარ, მაგრამ მე მგონია ჩვენი იურისკონსულტიც თითქო ბ-ნი ერისთავის თანამოზიარეა. ნუ ვიზამთ ამას, ნუ გავუთხრით სამარეს ჩვენსავე დაწესებულებას, რომელიც საქმეების რიგიანად მსვლელობა იმდენადაა საჭირო რამდენადაც ძვირფასია ქართული გიმნაზია ჩვენთვის.

თ-დ მ. ფაღავა. ვეთანხმები კ. აბაშიძეს, რომ შეუძლებელია ჩვენს წრეში იყოს ისეთი კაცი, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ უწყების ჩაუბარებლობა აქ რა შუაშია! ერისთავი სისხლის სამართალში მიცემული ამავე საქმისათვის, მაგრამ აქაც ვერ ჩააბარეს უწყება.

ბ. ჩხეიძე. თუ კაცს კაცი არ მოსწონსო მისი ფაჩი-ფუჩი ხრამი ხრუმათ ეჩვენებაო. მადლობის მაგივრათ ბანძის საქმეში საყვედურს მეუბნებიან. ერისთავს რომ ვუჩივლეთ, ბევრი სდიეს იასულებმა და უწყება ჩააბარეს, აღმასრულებელი ფურცელი აღებულია, მაგრამ მას მამული არ აღმოაჩნდა და ვერც გავიგეთ რანაირად აპირებს იგი ფულის გადახდას და თუ მე პირადად დამავალეთ ეს საქმე, სწორედ ვერ ვიტვირთებ, ამიტომ მართალნი არ არიან ისინი, ვინც მე მწამებენ ვითომ მე მიდგომით ვმოქმედობთ, ეს ცილის წამებაა.

ალ. საყვარელიძე. სცდება ბ-ნი ჩხეიძე, როცა ამბობს, რომ უწყება ვერ ჩავაბარეთ—ერისთავი აქ იყო და დროცა ჰქონდა უწყების ჩასაბარებლად.

გ. ზდ. გამ. და ზედ. მხ. კომიტეტად აღიარებენ, რომ დებეტორების ანგარიშები წესიერათ არ არის წარმართული. ამიტომ იქნება კრებამ მიიღოს გადაწყვეტილება, რომ გამგეობაც და ზ. კ. მიიღებენ ზომებს რომ ეს საქმე მოაწესრიგონ.

კიტა აბაშიძე. გადაწყვეტილობა სრული არ იქნება, თუ გამგეობას არ დავავალეთ შემდეგი: როცა ბანკში მოსამსახურე რაიმე ზარალს მიაყენებს ჩვენს დაწესებულებას, იგი სამსახურიდან უნდა დაითხოვონ, ხოლო თუ იგივე პირი გარდა იმისა, იმ ზარალს არა ჰზღავს და თან რწმუნებულის სახით მოგვევლინება და ჩვენი საქმეების მსვლელობაზე გავლენას იქონიებს, იგი უთუოთ სამართალში უნდა მიეცეს.

კრება ღებულობს თავმჯდომარის ფორმულას კ. აბაშიძის დამატებით და დაიშლება მეორე დღემდე.

კრება 24 მაისს.

წინა დღის ოქმი მცირე ცვლილებით მტკიცდება.

თ-დი მ. ფაღავა. ზედამხედველი კომიტეტი ამბობს, სმეტაში არ შეგვაქვს ის ფული, რომელიც მოწყობაზე იხარჯება. კომიტეტს, რომ ეკითხა ჩვენთვის საჭიროა თუ არა ამ წესის შემოღება, ჩვენ, რასაკვირველია, დავეთანხმებოდით. აღვნიშნავ მხოლოთ იმას რომ ეს კომიტეტმა წრეულს ბევრი, წინად არ არსებული, მოთხოვნილება წარმოგვიდგინა. გარდა ამისა კომიტეტი გვეუბნება, თუ ზედ მეტი ფული მოგვინდა ჩვენის ნებართვით შეგიძლიათ დახარჯოთ 100 მანეთიო—ნუ თუ შესაძლებელია ასეთი დამოკიდებულება გამგეობისა და საკონტროლო ორგანოსი.

თ-დ დ. მიქელაძე. არ ვეთანხმები თ-დ ფაღავას. კომიტეტის შენიშვნები სერიოზულად არ მიმაჩნია და არც ღირსია ყურადღებისა. ჩვენს მოქმედებას, და მოღვაწეობას აფასებენ რწმუნებულნი, რომელნიც უთუოდ დააფასებენ ზედ. კომიტეტის მოქმედებას.

ი. ს. ფანცხავა. ჩვენი შენიშვნა ერთნაირად ეხება გამგეობასა და ზედამხედველ კომიტეტს, რადგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სმეტას ბანკის ორივე ორგანო ადგენს. არ მესმის რაღ არის შეურაცყოფილი გამგეობა. ზედმეტ ხარჯის გაწევა სმეტის გარეშე არსად არ არის მიღებული—ქალაქის თავს შეუძლიან 50 მ. ხარჯი გასწიოს სმეტის გარეშე.

ად. კრინიცკი. თბილისის ბანკს შეტანილი აქვს სმეტაში ხარჯი მოწყობისათვის. ეს სავალდებულო უნდა იყოს ჩვენთვისაც.

კიტა აბაშიძე. გამიკვირდა თ-დი მიქელაძის განცხადებამ - აქ ნდობის საქმე არ არის - აქ ლაპარაკია დაწესებულებაში წესრიგის შემოტანაზე. რაც შეეხება ნდობას—მით ერთნაირად აღჭურვილნი არიან გამგეობაც და ზედამხედველი კომიტეტიც.

დ. ჟვანია. ბატონებო, ბევრს ვლაპარაკობთ, თავის გამოჩენა გვინდა. გავათავოთ.

მ. ქიქოძე. გამგეობა და ზედამხედველი კ—ტი თანახმანი არიან ამ კითხვის შესახებ და, მგონია, მეტია ლაპარაკი. საქმე აქამდისაც უნდა გათავებულიყო.

თ-დი იას. ნიჟარაძე. მე ის აზრი დავსკვენი, რომ გამგეობა მტრულად უყურებს ზ. კამიტეტს და ყოველ მის შენიშვნის გაბათილებასა სცდილობს. ეს, ჩემის აზრით, შეუწყნარებელი არ არის.

თავმჯდომარე გ. ზდანოვიჩი. გამოირკვა რომ ხარჯი მოწყობილობისათვის წინა წლებში სმეტაში არ შექონდათ. ჰსურს თუ არა კრებას, ეს ხარჯი შეტანილი იყოს სმეტაში.

კრება ეთანხმება თავმჯდომარეს და დასძენს, თუ გარემოება მოითხოვს ზედ-მეტი ხარჯის გაწევა შესაწყნარებელია, თუ ამის ნებას დართავს შეერთებული სხდომა ზედამხედველი კომიტეტისა და გამგეობისა.

თ-დი ფაღავა. ზედამხედველი კომიტეტი ამბობს, რომ ხარჯთ-აღრიცხვის გარეშე ჩვენ დავხარჯეთ ზედ-მეტი 7177 მ. 21 კ. და მერე ცალ-ცალკე აქვს აღნუსხული რაში დაიხარჯა ზედ-მეტი. გამგეობის კანდიდატის მოწვევაზე დახარჯულია ზედ-მეტი 113 მ.; ეს გამოიწვია იმან, რომ გამგეობის ერთი წევრი ორი თვით იყო წასული და ჩვენ იძულებული ვიყავით კანდიდატი მოგვეწვია.

იაკ. ფანცხავა. აქ აღსანიშნავია ის კი არა, რომ 113 მ. დახარჯულა ზედ-მეტად, არამედ ის რომ აღნიშნული იყოს ხოლმე, რა გარემოებამ გამოიწვია კანდიდატის მოწვევა.

თ-დი ივ. ნიჟარაძე. გამგეობის გადაწყვეტილება კანონიერია მაშინ, როცა 3 წევრი მიიღებს მონაწილეობას. ამიტომ საჭიროება კანდიდატის მოწვევისა ხშირია და თუ მარტო იმას მივიღებთ მხედველობაში, როცა კანდიდატი დაესწრო სესხის გაცემის დროს, მაშინ კანდიდატი ძვირად დაჯდება. მაგრამ საქმე ასე არ არის, კანდიდატის მოწვევას ითხოვს საქმის გარემოება და მიკვირს რად შემოაქვს ზ.-მხ. ასეთი განცხადება.

თ-დი ფაღავა. ზ. კ—ტს რომ გაეგო საქმის ნამდვილი ვითარება, მაშინ შენიშვნას არ მოგვცემდა, რაც საქმეს აძნელებს და არ არკვევს.

ი. ფანცხავა. აქ ან არ უნდათ გაიგონ ჩვენი დაწერილი, ან წინგანზრახული აზრით არ იგებენ. ბ-ნი ნიჟარაძე კანდიდატია და იმდენი დრო ვერ უპოვნია, რომ წესდება წაეკითხა. იქა სწერია, კანდიდატი მაშინ უნდა მოიწვიონ, როცა გამგეობის წევრი დიდი ხნით სტოვებს სამსახურს, მაგრამ გამგეობას უნდა, რომ ყოველივე წინანდებულად დარჩეს, არაფერი შეიცვალოს და ამიტომ ყოველ ჩვენ შენიშვნას უარყოფს.

ფინანსთა მინისტრის რწმუნებული სობრიევსკი. წესდება ითხოვს, რომ გამგეობაში 4 წევრი იყოს და ამავე დროს ერთი დირექტორი მუდამ ტფილისშია, მეორე მამულებს განაგებს და ამიტომ გამგეობა იძულებულია მოიწვიოს ხოლმე კანდიდატი.

თ-დი მ. ფაღავა. ბ-ნმა ფანცხავამ გადაკვრითა სთქვა, ვითომ ჩვენ მაშინ ვიწვევთ კანდიდატს, როცა საჭიროება არ არის. აგვიხსნას რაშია საქმე?

კიტა აბაშიძე. ვერ დამაკმაყოფილა ვერც თ-დ ფაღავას და ვერც ბ-ნი სობრიევსკის ახსნამ: ჩვენ გვინდა წესიერება დამყარდეს ბანკში. ხშირად ვყოფილვართ დასჯილნი მოსამსახურეთაგან და გვინდა უკეთესად მოეწყოს საქმე. სასაცილოდ იმასაც კი ამბობენ, ვითომ კანდიდატები ერთმანეთს ასწრობენ, რომ საჭიროებისათანავე პირველად მოსული იყოს მიწვეული.

აქ ილაპარაკეს გამგეობის წევრების კანდიდატებმა თ-მა იას. და ივანე ნიჟარაძემ, მაგრამ საქმეს პირადი ელფერი მისცეს და ამიტომ არ მოგვყავს ანგარიშში.

ბარ. მოსეშვილი. აქ კამათის მეტი არაფერია. მადლობის მაგივრად ზედამხედველ კომიტეტს მისი შენიშვნებისათვის გამგეობა საყვედურს უცხადებს, თითქოს ბანკის საქმეები ბრწყინვალედ იყოს, ჩვენ მოგება გვიჩვენეს და ნამდვილად-კი ზარალია, ამას მე დავამტკიცებ, როცა ანგარიშზე გვექნება ლაპარაკი. რაც შეეხება კანდიდატის მოწვევას, უნდა აღვნიშნო, რომ გამგეობის თავმჯდომარე ხშირად საოლქო სასამართლოშია და ამით ბანკის საქმეები ფერხდება, ამიტომ საყვედურის ღირსი ხართ.

ად. საყვარელიძე. ბანკი კომერციული დაწესებულებაა, ბძანა სობრიევსკიმ, ვეთანხმები და ვამბობ, რომ ჩვენ დაწესებულებაში წესიერება შევიტანოთო ამ მხრით ჩვენი ყოველი განცხადება რაღაც დანაშაულად მიაჩნიათ და გვიკიჟინებენ, თითქო ჩვენ, თქვენივე არჩეული კაცები, რაღაც მტრობით ვიყოთ გამსჭვალულნი. კანდიდატის მოწვევის საქმეშიაც გვინდა შევიტანოთ წესიერება და სხვა არაფერი.

თ-დი მ. ფაღავა. მოსეშვილი გარწმუნებთ რომ ბანკს მოგება კი არა 200 ათასი მანეთი ზარალი აქვსო. სცდება ბ-ნი მოსეშვილი, ამას ვერ დაამტკიცებს. ჩემს პიროვნებასაც შეეხო და სთქვა ერთმა მსესხებელმა ორი დღის განმავლობაში სესხი ვერ მიიღო ჩემის მიზეზით. მე ვითხოვ, რომ ეს დაამტკიცოს.

ბარ. მოსეშვილი. ჩემმა სახლიკაცმა...

ხმები. არ გვინდა, არ გვინდა...

თავმჯდომარე ზდანოვიჩი მე ორატორების სია დავხურე და თუ ბ-ნ მოსეშვილს სიტყვა მივეცი, მარტო იმისთვის, რომ თვით ბ-ნ ფაღავამ ითხოვა ეს. თუ კრებას არა ნებავს ბ-ნ მოსეშვილს სიტყვას ჩამოვართმევ.

ბ-ნ მოსეშვილს ერთი მაგალითი, მოჰყავს, როცა თავად ფაღავას ოლქის სასამართლოში ყოფნის გამო სესხის მსურველმა დროზე ვერ მიიღო სესხი

თ-დი მექი ფაღავა. თქვენი ნათესავისთვის სესხ-ს მიცემა მარტო 16 ოქტომბერს შეგვეძლო, რადგან ამ დღეს წარმოადგინა მან დამატებითი მოწმობა. ამავე დღეს მიეცა მას სესხი და ჩემი ხელი ოქმს აწერია. რაღ არის აქ საქმის შეფერხება, ბ-ნო მოსეშვილო?

თავმჯდომარე ზდანოვიჩი. გძელი ბაასიდან მოკლე დასკვნა გამოდის —კანდიდატის მოწვევა უნდა მოხდეს ყოველთვის გამგეობის გადაწყვეტილობით.

კრება გადაიდო შემდეგი დროისათვის.

ე. კ. ქ.

შენიშვნები ქართულ ლიტერატურაზე

1

რაფიელ ერისთავი.

„ვისაც რა უნდა უყვარდეს, სულ სხვაა ჩემი ტრფიალი,
მიყვარს პირ-წმინდა ნამგალი, მისი ყანაში ტრიალი“.

ასეთ ადგილებს ბევრს შევხვდებით მცხოვან აკაკის პოეზიაში. იგი მუდამ იმის ცდაშია, რომ ჩაგვახედოს გლეხის გულში, გვაკვნესოს მისი კვნესით, მისი ლხენით გვალხინოს, შეგვაყვაროს მისი დაკოჟრილი ხელები, მისი შრომა, მის „პირ-წმინდა ნამგლის ყანაში ტრიალი“.

მაგრამ აკაკის გარდა ქართველებს კიდევა გვყავს პოეტი, რომლის პოეზიის მოტივები თითქმის იგივეა, რაც პირველისა. მას აკაკიზე არა ნაკლებ უყვარს გლეხის შრომა, მისი „ჰოროველა“, მწარე ფიქრები და სხვა.

ჩვენი ახალგაზდობა ნეკრასოვსა და კალცოვს უფრო იცნობს, ვიდრე რაფიელს.

ახალგაზდა კრიტიკოსებიც-კი მზად არიან მთელი ტომები სწერონ არციბაშევზე, ანდრეევზე და სხვ., ხოლო სამშობლო მწერლობაზე კი კრინტსაც არ იღებენ. ეს იმით აიხსნება, რომ ჩვენს კაზმულ მწერლობას ნაკლებად იცნობს ჩვენი ახალგაზდობა. რამდენიმედ ეს მას ეპატიება კიდეც.

მე, მაგალითად, არავის გავამტყუნებ, რომ ყურადღებასაც არ აქცევენ ისეთ მწერლებს, როგორიც არიან ქუჩიშვილი, მალაქიაშვილი, ჩხიკვაძე, ტაბიძე, გობეჩია და სხვ. და მათ ნაცვლად ეტანებოდნენ: ბალმონტს, ბრიუსოვს, ბლოკს, სკიტალეცს, ბელის და სხვებს.

რა თქმა უნდა, შეგვიძლიან უარვყოთ ჩვენი მწერლების ის ნაწილი, რომელიც ჩვენთვის უცნობ რუსეთის ინტელიგენციის მაძიებლობას, მის პოეზიის სპეციფიკურ მხარეებს ქართულ „სოუზით“ გვაწვდიან. ჩვენ შეგვიძლიან ყველა ამას გვერდი ავუაროთ. მაგრამ, ამავე დროს, გვყავს ჩვენი ეროვნული მწერლები, რომლებიც ქართველი ხალხის ჭირ-ვარამზე, მის ფიქრებზე, მის სულზე და გულზე გვესაუბრებიან. ამათი უარყოფა არას დროს არ შეგვიძლიან, იმიტომ რომ ვერ ნახავთ ისეთ უცხოელ მწერალს, რომელსაც შეეძლოს მათი ადგილის დაჭერა. ყოველ მათ სიტყვაში ჩვენი სულიერი „მე“ იხატება, ყოველ მათ სტრიქონებ შუა ქართველობა გამოსჭვივის. ესენი არიან ჩვენი მწერლობის სიამაყე, ბუმბერაზები.

რამდენადაც წარმავალია ახალგაზდა მიმბაძველ პოეტთა სახელი ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში, იმდენად უკვდავნი არიან ჩვენი ეროვნული პოეტები, რომელნიც ჩვენი ხალხის ყოფაზე, სულის მისწრაფებაზე, სამშობლო ენითა და გულით გველაპარაკებიან.

ამათ რაზმში საპატიო ადგილი უნდა დაეთმოს თავ. რაფიელ ერისთავს.

რაფიელის სამწერლო მოღვაწეობა შეგვიძლია სამ ხანად დავყოთ.

პირველი ხანა ეკუთვნის სამოციან წლებს, მეორე სამოცდა-ათიანს, მესამე კი ოთხმოცდა ათიანს.

ამის დაგვარად რაფიელის პოეზიის მოტივებიც იცვლება; **პირველ ხანებში** რაფიელი უმღერს უნუგეშო სიყვარულს, **მეორეში**—ყანწს და ღვინოს, როგორც წარსულზე დარდის მკვლელს, **მესამეში კი**—საღ ნაწილს ქართველი ერისას, მშრომელ ხალხს.

რაფიელი ჩვენ გვაინტერესებს უფრო იმდენად, რამდენადაც ის მესამე ხანას ეკუთვნის, მით უმეტეს, რომ მისმა შემოქმედებამ მხოლოდ ამ ხანებში შეისხა ნამდვილი, ძლიერი ფრთები, ამ ხანებში გამშვენიერდა და თავის განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია. მაგრამ, შთაბეჭდილების მთლიანობისათვის, მინდა რამდენიმე წუთით მაინც შევაჩერო მკითხველის ყურადღება პირველ ორ ხანაზედაც.

პოეტი კარგა ხანია გამოვიდა ცხოვრების გზაზე, დღიური ჭირვარამი, ზრუნვა, წვრილმან საქმეთა დევნა არ აძლევს მას დროს რაიმე განყენებულ გრძნობებზე იფიქროს, მიდის ცხოვრება უფერულად, ერთგვარად:

„ცხოვრება ჩემი წყაროსავით მომდინარეობდა,
„ვერც სოფლის ღელვა, ვერცა ჟინი მას ვერ არევდა“,

ამბობს პოეტი ლექსში „რისთვის მიყვარხარ!“

დრო გადიოდა, პოეტი თითქმის ხანს გადავიდა, დაიღალა კიდეც ცხოვრების გზაზე და სწორედ ამ დროს მოევლინა მას გულის სატრფო. პოეტმა შეიყვარა იგი მთელი თავისი სიძლიერით, მთელის არსებით; იგი იმედს არა ჰკარგავდა და მომავალ ბედნიერებაზე ასე ფიქრობდა:

„აგერ ვამბობდი შემეცვლება მასთან ბედი..
„მაგრამ, ვაიმე! შედგა ჩარხი, გაბრუნდა ბედი!..“

პოეტმა იცის სიყვარული, იგი მას განიცდის, მისი გული ძლიერად ტოკავს, მას სწყურიან ალერსი:

„მას სწყურია მშვენიერსა, თვალი-თვალში გაუყაროს,
„თავი თავსა, თმა დალალსა, მკერდი-მკერდსა დაამყაროს,
„ტუჩი ტუჩსა შეაწებოს, გულით სული გაახაროს,
„დავიწყებას თავი მისცეს, ნეტარების ცრემლი ღვაროს!..“

ყველა ეს მას სწყურიან, მაგრამ, ვაი, რომ სატრფოს მისი არ ესმის და გაურბის. პოეტს ჯერ ამისი მიზეზი ვერ აუხსნია და გაოცებული შეჰკითხავს სატრფოს: „რათ გარბიხარ“-ო? ხომ იცი, რომ: „თაგვი არ ხარ, არ ვარ კატა, რომ მოპარვით გელამუნო“ და შემდეგ „ვახშმად“ „შეგახრამუნოვო“!.. მაგრამ დრო გადის და პოეტიც მიჰხვდება ნამდვილ მიზეზს და „წრეს გადასული ეუბნება წრეში შემოსულს“:

„შენ გაგაწითლებს, თუნდა სიზმარში,
„ვისაც არ უჩანს ჭაღარა თმაში,
„შენ აგაჟრჟოლებს, თუნდა ყინვაში,
„ამწვანებული ახლად ულვაში“!

და ბოლოს ნაღვლიანად დასძენს:

„რად შემიყვარებ? განა არ ვიცი,
„შენ ჯერ ხორჩი ხარ, მე კი მოხუცი“.

ასეთი არის პოეტის უნუგეშო სიყვარული, ობოლი გრძნობა. მან ნახა თვალები, მწველი თვალები, რომელთაც აღფრთოვანებული ჰიმნი უძღვნა, მაგრამ ეს პაფოსით სავსე ოდა ბოლო სტრიქონებში სასოწარკვეთილებამდე აღწევს:

„იმ თვალებს ვეტრფი ბედკრული მეცა
„მაგრამ შორსა ვარ მათზე, ვით ზეცა“...

უნუგეშო სიყვარული, რომელიც ასე ძლიერად არის გამჯდარი პოეტის არსებაში, ან უნდა განხორციელდეს მეორე არსში, ანდა უნდა ძალად დაიხშოს; რადგან პირველი მისთვის შეუძლებელი ხდება, პოეტი მეორე გზას მიჰმართავს, თავდავიწყებას ეძლევა, გრძნობას ახშობს და რამდენიმე წუთებით მოსვენებულია კიდეც.

აქ იწყება მისი შემოქმედების მეორე ხანა, რომელიც მეტად ხანმოკლედ და ღარიბად უნდა ჩაითვალოს. ამ ხანებში პოეტის საუკეთესო მეგობარია ღვინო, რადგან მხოლოდ და მხოლოდ

„ღვინოა, რომ ჩვენ დარდს მოგვაცილებს,
(ზოგჯერ' გ)
„ზოგჯერ გვატირებს, ზოგჯერ გვალხინებს“.
„ღვინო გვიქარვებს ყოველთვის მჯავრსა?

(შემდეგი იქნება)

მოწერილი ამბები

ნოსირი (სენაკის მაზრა). 22 აპრილს სკოლის დარბაზში იასონ გაბიდაიამ წაიკითხა ლექცია: კოოპერატიული ამხანაგობა და მისი მნიშვნელობა სახალხო მეურნეობაში. ლექციას დაერთო ბუნდოვანი სურათები სხვა და სხვა ქვეყნის კოოპერატიული ცხოვრებიდან. ლექცია უფასოდ გამართა ადგილობრივმა მომხმარებელმა საზოგადოებამ, რის გამო ქალი და კაცი 600 მდე დაესწრო. ლექციის ტეხნიკურად მოწყობაში ენერგიული მონაწილეობა მიიღეს სკოლის ზედამხედველმა ა. გულუამ და მასწავლებლებმა ვ. შველიძე და დ. ბარბაქაძემ.

ლექტორმა დამსწრე საზოგადოებას აუხსნა კოოპერაციის მნიშვნელობა და მისი წარმოშობის მიზეზები. ლექციამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ხალხი კმაყოფილი დაიშალა. ს—ი.

მახლობელი აღმოსავლეთი

ოსმალეთი და ჩერნოგორია.

დეპეშები.

ცეტინიე. ბატონიშვილი მირკო სულთნის დასახვედრად კოსსოვოში აღარ მიდის. ამბობენ, ჩერნოგორიის მეფე ნიკოლოზი სტამბოლს ზაფხულში წავაო.

გაზეთებიდან

ოსმალეთ-ჩერნოგორიის საზღვრებზე მომხდარ ინციდენტების გამოსარკვევად შემდგარმა კომისიამ, სხვათა შორის, დაადგინა: ოსმალებს საზღვარზე ამართული სიმაგრე „ეზერის სიმაღლე“ უნდა მოეშალათ. ჩერნოგორელები თავიანთი მხრით ასევე უნდა მოქცეულიყვნენ და უნდა მოეშალათ სიმაგრე „ტეტრებინიაკი“. როცა ჩერნოგორელი კაპიტანი ლაზოვიჩი „ტეტრებინიაკზე“ კომისიის დადგენილების ასასრულებლად მივიდა, სიმაგრე ოსმალების მიერ დანგრეული დახვდა, „ეზერის“ სიმაგრეში კი ოსმალები იყვნენ ჩასაფრებულნი და ლაზოვიჩს სროლა აუტეხეს ლაზოვიჩს ხუთის მხრიდან ესროდნენ. ჩერნოგორელებმა სროლაზე პასუხი არ გასცეს, სროლამ 7 საათს გასტანა. ყველა ამის თაობაზე ჩერნოგორიის მთავრობამ ოსმალეთისას სიტყვიერი ნოტა გაუგზავნა, რომ დღის შემდეგ ყოველ პასუხის-მგებლობაზე ხელს ვიბანო. ოსმალეთმა პირობები დაარღვია. ეს კი მშვიდობიანობას და კეთილ-განწყობილებას შეუძლებელსა ხდისო. ოსმალების საქციელმა ჩერნოგორელები საშინლად ააშფოთა და ოსმალეთის ჯარის საქციელს პროვოკაციას აწერს.

ბოლგარეთი და ოსმალეთი.

გაზეთებიდან

ბოლგართა კომისია ოსმალელ ოფიცრის სიკვდილს ოსმალთა საქციელს აბრალებს. ოსმალები კი ხალხს არწმუნებენ, ბოლგარელები განგებ ჩაგვისაფრდნენ, ალბად გეორგიევის სისხლი ზიაფენდის სისხლით უნდათ აიღონო. მაინც იმედია, რომ ორივე სახელმწიფო შეთანხმდება, გაზეთებმაც კილო დასწიეს. კასოვის ვალიმ (გუბერნატორმა) ოსმალეთის სამხედრო მინისტრს შეატყობინა, ოფიცრებს არავითარი ღონე არა აქვთ, ჯარის კაცები შეიკავონ და ბოლგარელებს სროლა არ აუტეხონო. ჯარის კაცები ზიაფენდის და ორი მეომრის მოკვლით გაბრაზებულნი არიან.

ამ განცხადების შეოხებით, სამხედრო მინისტრმა ჯარების უფროსებს ცირკულიარები დაუგზავნა მაშვიდობილობა გვჭირდება თავი შევიმაგროთ, რადგანაც ოსმალეთის მთავრობა ეხლა ცუდ მდგომარეობაშიაო. ამიტომ დაიკავეთ მეომარნი, რომ მათ ბოლგარელებთან შეტაკება არ გამოიწვიონო; 20 მაისს ეს ბრძანება ყველა ყაზარმებში წაიკითხეს.

ალბანეთის აჯანყება

დეპეშები

სტამბოლი. მილისორები რამდენიმე ასეულ მირიდიტელებს შეუერთდნენ და სტრასილჩეს სიმაგრეს დაეცნენ, მაგრამ ოსმალებმა მოიგერიეს. ალბანელებს 9 კაცი მოუკლეს და მრავალი დაუჭრეს. 9 ბატალიონმა აჯანყებულთა მიდამოს ალყა შემოარტყა.

ცეტინიე. გაზეთ „ცეტინიეს უწყებაში“ დაიბეჭდა, ალბანეთის დროებითი მთავრობის პროკლამაცია, პრეზიდენტი ტეცცი აწერს ხელს პროკლამაციაში ნათქვამია რომ ამიერიდან ალბანელები თავისუფალი დამოუკიდებელი ხალხიაო. ქრისტიან და მაჰმადიან ალბანელთა შორის ეხლა აღარ იქნება განსხვავება, რადგანაც ქრისტიანი და მაჰმადიანი ალბანელები სულ ერთია ალბანელები არიან. ალბანელს საერთო ენა აქვს, ერთი ისტორიული წარსული და ერთი მტერი ჰყავთ—ოსმალები, რომლებიც ჩვენი სამშობლოდან უნდა გავაძევოთო. როცა ოსმალების უღელს მოვიხსნით, მაშინ საერთოდ გადავწყვიტავთ, თუ რანაირი მმართველობა გვქონდეს, რესპუბლიკა თუ მონარქია. ეხლა ყველგან ყველაფერი მზად არის, რომ ალბანელებმა დიდი სკანდერბეგის წითელი-შავი დროშა ააფრიალონ. 12—50 წლის ყოველ ალბანელს იარაღი და პატრონები დაურიგდება. რომელი ალბანელიც უცხოელს მოჰკლავს, სიკვდილით დაისჯება. მთელი განათლებული კაცობრიობა ალბანეთისაკენ იცქირება. ჩვენი კეთილის მყოფელნი, რომელნიც ეხლა გვშველიან, არც შემდეგ დაგვივიწყებენო. პროკლამაცია ალბანელთა შორის მამულიშვილურ გრძნობას იწვევს.

ცეტინიე. მირიდიტელებს 5000 მეტი თოფი აქვთ. ათასამდის თოფი მაშინ გადაარჩინეს, როდესაც ოსმალები ხალხს იარაღსა ჰყრიდნენ, 4000 თოფი ზღვით მიიღეს. მირიდიტელებმა ქ. ასილეა აიღეს. ალბანელთა კომიტეტის გუშინდელ პროკლამაციაზე იტალიელ ადვოკატს ტორენციო ტეცცის უწერია ხელი.

ხან-გრძლივ ბრძოლის შემდეგ ჯაფერ-ბეის რაზმმა გოლაჩი აიღო. ეს პოზიცია მთელ ზელცეს თავს დაჰყურებს. ბრძოლაში ვუკლეს თემს მეთაური მოუკლეს. სამხრეთის ჯარი წინ ნელ-ნელა მიდის და აჯანყებულებთან წვრილ წვრილი შეტაკება მოსდის. იგი ველეჩიკოსა, ჩემერუსა და ბუკოვიკისაკენ მიიწევს. როგორ წაუვა ამ ჯარს საქმე ძნელი სათქმელია. პლანინიცზე გამაგრებული რაზმი ადგილიდან ჯერ არ დაძრულა და მხოლოდ ზარაზანს უშენს სუკა-გრუდიდის მთას.

დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო)

24 მაისი.

საზღვარ-გარედ

სტამბოლი. ოსმალეთის პრესა სულთნის მოგზაურობას ეხება და ამბობს, რომ ეს მოგზაურობა ოტომანთა სიძლიერეს ამტკიცებსო. ოტომანთა დროშა ოთხასი წლის შემდეგ ერთხელ კიდევ აფრიალდება იქ, სადაც პირველად ააფრიალა ხონთქარმა მურადმა, ოსმალეთის ევროპიულ პროვინციების პირველმა დამპყრობელმაო.

„სენინი“, ყოფილი „ტანინი“, ამბობს: იმ დროს, როდესაც ევროპის პროვინციები ხელიდან გამოგვეცალა, კონსტიტუციამ გაგვაძლიერა და მაჰმადიანებზე გავლენა შეგვისარჩუნაო. ხონთქრის მოგზაურობა, მაკედონიაში ბატონობის დამამტკიცებელიაო.

უსკიუბი. ახალგაზდა ოსმალთა კუმანოვში მომხდარმა მიტინგმა კრეტელების წინააღმდეგ პროტესტი განაცხადა. კრეტელებმა ოსმალების მიერ დანიშნული ყადები არ მიიღეს.

მუკდენი. დაინტერესებული სამინისტროები პრინც-რეგენტსა სთხოვენ, რომ ჭაოერსიუნს სამხედრო და დიპლომატიური უფლებანი შეუმოკლეო.

ნიუ-იორკი. ტუსონიდან (არიზონის შტატი), იტყობინებიან, ალტარის ოლქში მადეროს 28 მოწინააღმდეგე დახვრიტესო.

გაზ. „ნიუ-იორკ-ტაიმსი“ იუწყება, რომ მექსიკოში სუფრაჟისტმა ქალებმა დემონსტრაცია მოახდინესო. დემონსტრაციას დიდი უწესობა მოჰყოლიაო.

სტამბოლი. პორტამ თავის ათინელ ელჩს დაავალა, საბერძნეთის მთავრობას მოსთხოვე, რომ 3 მოკლულ ოსმალთა სალდათის ოჯახობა დააკმაყოფილონ და დამნაშავენიც დასაჯონო.

პორტა იტყობინება, რომ აჯანყებული არაბები დამარცხდნენო.

რუსეთი

მინსკი. გარდაიცვალა სათათბიროს წევრი მაზენცევი.

პეტერბურგი. დამტკიცდა ნავთის მწარმოებელთა რუს საზოგადოების წესდება.

მოსკოვი. მოვიდა სამხედრო მინისტრი და პეტერბურგს გაემგზავრა.

ნოვოჩერკასკი. კირილოვის ეკონომიას თავს დაესხნენ ყაჩაღები. გაიტაცეს 3555 მან. ერთი თოფი და დასჭრეს ერთი მუშა.

პეტერბურგი. დასრულდა მიწათმომწყობთა კრება. კრებამ შეიმუშავა ნაკაზი სამიწათ-მომწყობის ტეხნიკოსა.

ხელის-მომწერთა საყურადღებოდ

მოვაგონებთ ხელის-მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან ვისაც ხვედრი ფული არა აქვს შემოტანილი, გაზეთის გზავნა ესპობათ.

„სახალხო გაზეთის“ კანტორა.

თეატრი და ხელოვნება

ხუთშაბათს, 26 მაისს, ქართულ თეატრში მაჰმადიანთა დრამატიული საზოგადოების დასის მიერ, მაჰმადიანთა პირველ ქალ—მსახიობის ხანუმ გეოგარჩინის საბენეფისოდ გაიმართება წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება ახალი ოპერეტა: „თერთმეტის წლის ცოლი". მუსიკა და ტექსტი ზულ-ფუმარ ბეკის გაჯიევისა. უმთავრეს როლს თვით მობენეფისე ხ. გეოგარჩინი შეასრულებს.

—

ფოთი. ფოთის საკრებულო დარბაზში 8 მაისს ტფილისის ქართულ საამხანაგო მომღერალთა გუნდმა ბ. მიხეილ კავსაძის ლოტბარობით გამართა კონცერტი-სალამო. კონცერტი შესდგებოდა სამი განყოფილებისაგან.

პირველი განყოფილება, რომელშიაც შედიოდა: „ქართველო ხელი ხმალს იკარ", „ვაი შენ ჩემო თეთრო ბატო", „ბრძანა სოლომონ მეფემან", „მიყვარს ფაცხა" და „ლაშქრად წასვლა", ძალზე სუსტად იქმნა შესრულებული. აქ მეტად ემჩნეოდა ხმების სისუსტე განსაკუთრებით სუსტი იყო პირველი ტენორი. აგრეთვე ემჩნეოდა ხმების არევ-დარევა. სჩანს, გუნდი ჯერ ისედაც ვერ არის კარგად გაწვრთნილი. პირველმა განყოფილებამ საზოგადოებას ვერაფერი ასიამოვნა, მიუხედავად იმისა, რომ მასში შედიოდა საუკეთესო სიმღერები.

მეორე განყოფილება შედარებით პირველზე კარგი იყო. აქ საუცხოვოდ შეასრულა „ორთა-სევა" თარზედ ბ. სალირაშვილმა. კარგად შეასრულეს „ტურფავ მოდი" ტრიო ძმ. კავსაძეებმა, რომელიც კიდეც გაამეორებინეს. არა უშავდა კიდევ რამოდენიმე სიმღერას. კარგი იყო „ლეკური", რომელიც თარზედ შეასრულა ბ. სალირაშვილმა.

გაცილებით მეტი ასიამოვნა საზოგადოებას მესამე განყოფილებამ, რომელშიაც შედიოდა: „ქონა", „ალილო", „ჰერით ბიჭო ბახასაო", „ღმერთო მეც გადმომხედევი", „გოგიასა გოგიასა", „ფერხული" და „ცანგალა". მართალია ხმების სისუსტე აქაც იყო, მაგრამ აქ მეტ ყურადღებას იპყრობდა სოფლის ცხოვრებიდან აღებული ცოცხალი სურათები პატარ-პატარა სცენებით. კარგად იქმნა შესრულებული „ცანგალა" გლეხური თამაშით. საერთოდ კონცერტმა გვარიანად ჩაიარა. ხალხი საკმაოდ დაესწრო.

ვურჩევთ ახალ-გაზდა მოწღერალს, თუ მას ჰსურს ხალხურ საქმეს სამსახური გაუწიოს, გუნდი შეავსოს რაც შეიძლება კარგის ხმებით.

ჭრიჭინა.

—

ავლაბრის თეატრი. კვირას, 22 მაისს, დილით წარმოდგენილ იყო სამ მოქმედებიანი დრამა ა. ბაქიაშვილისა „სიმდიდრის მსხვერპლი". უმთავრეს, მილიონერის, როლს ასრულებდა ბ-ნი მარკოზოვი, რომლითაც საზოგადოება კმაყოფილი დარჩა. კარგები იყვნენ მეტრეველი, კავთელი და ბ-ნი კელიკურაშვილი.

შემდეგ გაიმართა მანდოლინისტების გაჯიბრება; ჟეტონი მიიღო ბ-მა ტარხნიანმა. ბოლოს ლეკური გაიმართა. ითამაშეს ბ-მა ცომაიამ, ყიფიანმა და ოქროპირიძემ. ცეკვაში გამარჯვება ბ-ნ ყიფიანს დარჩა.

ღია წერილი

(ბათომში წიგნების გამომცემელს ბ-ნ. მ. კალანდაძეს).

ბატონო მიხეილ!

როგორც გაზეთებმა გვაუწყა, თქვენ მიერ გამოცემული წიგნები, „დ. კლდიაშვილის თხზულებები" უკვე დაურიგდა ხელის მომწერლებს, და წიგნის მაღაზიებშიაც დაგიგზავნიათ გასაყიდად! რად გამოგრჩათ ტფილისის ქალაქის სადგურზე ხელის მომწერლები, სადაც როგორც მე, სხვებიც ათ-ხუთმეტამდეა? გთხოვთ გაგვაგებინოთ, რა ბედი ეწია ჩვენს წიგნებს!

ხალამპე ჩიტოშვილი.

წერილი რედ. მიმართ

მოწყალეო ხელმწიფევ, ბატონო რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ, თქვენი გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადოთ ყველა იმ პირთ, რომელთაც თავის შრომით, ფულისა და ნივთების შეკრებით, ან თავის წვლილის მოწოდებით დახმარება გაგვიწიეს ამ წლის აპრილის 23 და 24-ს ხონის პროგიმნაზიისა და წყალდიდობისაგან დაზარალებულ ქალადიდელთა სასარგებლოდ საქველ-მოქმედო ბაზრისა და სეირნობის გამართვაში.

განსაკუთრებითი მადლობას ვუძღვნით ადგილობრივ ბოქაულს მ. ა. დუმბაძეს, რომელმაც დაუღალავის შრომითა და თადარიგობით დიდი დახმარება აღმოგვიჩინა სეირნობისა და ვაჭრობის მოწყობაში და წეს-რიგის დაცვაში,—ზუგდიდში მცხოვრებს კნეინა ესმა ფადავას, რომელმაც თავის ნაცნობთა შორის ფული შეკრიფა; ქუთაისში მცხოვრებს ვაჭარს პ. ნ. ჩაკვეტაძეს და ტფილისში მცხოვრებს გ. გ. რატიანს, რომელთაც თავის ნაცნობებში ნივთები შეკრიბეს და მოგვაწოდეს. მადლობას ვუძღვნით აგრედვე მთელს ხონის საზოგადოებას, რომელიც დიდის თანაგრძნობით მოეპყრო ჩვენ მიერ გამართულ ბაზრობა-სეირნობას და თავისი წვლილი არ დაიშურა.

ფულად შემოსწირეს: იმერეთის ეპისკოპოსმა გიორგიმ 10 მ., სოლომონ იოსების ძე წერეთელმა 15 მ., დიმიტრი ივანეს ძე ჩხიკვიშვილმა 20 მ., ექიმმა კონდრატი მძეიძემ 5 მ., გრიგოლ გველესიანმა 5 მ., კნეინა ივლიტა ჩიჩუამ 10 მ., მიხეილ იაგორის ძე ჰაჭკანიძემ 10 მ., ქუთაისის მაზრის უფროსმა სტ. ა. ყოლდანოვმა 3 მ., ბართლომე მოსეშვილმა 1 მ., ვლ. ალშიბაიამ 3. ორ-ორი მანეთი: ავქსენტი ფადავამ და სპირიდონ ხიჟარაძემ; თითო მანეთი: ელენა ვასაძემ, ექიმმა მუჯირმა, რაჟდენ ნიჟარაძემ, ალ. გაბუნიამ, ასლან კვიტაშვილმა, მღვდელმა სამსონ თათარიშვილმა, მღვ. ევგენი შენგელაიამ, სევერიანე დგებუაძემ, ვარდენ ანთელავამ, მღვდელმა გაბრიელ ჯიქიამ, ექიმმა ანტონ პატარაიამ, პლატონ ცანავამ და სვიმონ ცანავამ; ათ-ათი შაური: სტეფანე კომეთიანმა, გრიგოლ ოქროპირიძემ, პეტრე ანთელავამ, ივანე ჯალაღანიამ და დათიკო ჩიქოვანმა.

ნივთები შემოსწირეს: ხონის ვაჭრებმა, ხელოსნებმა და ოჯახის დიასახლისებმა; **ქუთაისიდან:** ბ. ა. ბოკუჩავამ, ბასილაძემ და კილოსონიამ, პეტრე სტეფანეს ძე ერიკოვმა, ნ. რაფაელოვმა და პ. ჩაკვეტაძემ, ვ. ს. ყუფარაძემ, თ. ნ. გაბუამ და ე. ტ. ჯაკობიამ, ძმები: ე. და პ. საკაშვილებმა, ხ. ს. მარაბაძემ, ფახრულიძემ და ოუზაძემ, ი. ს. მამაჯანოვმა, ლევან და ბოკეროვმ; ძმებმა კუზანოვებმა, ძმებმა ძ. და ლ. პავჰანიძეებმა, ი. მ. ჯანელიძემ, სავაჭრო სახლი გოკიელის შვილები, გ. გორდაძემ და ს. წერეთელმა, დ. მ. ბახტაძემ, ვ. მორჩაძემ, ი. პ. ხოჯაშვილმა, დ. ი. ყუფარაძემ, ა. ბ. ღვინიამ, ს. ტ. მოწონელიძემ, ს. გ. კომანდარაშვილმა, ი. ტ. მოწონელიძემ, კ. ვ. ქელბაქიანმა, ა. გ. ახვლედიანმა, ლ. პ. კოკოჩემა, კ. ო. მელაშვილმა, ი. გ. კემულარიამ, პ. ს. ფეიქაროვმა, ვ. ს. ბუტულაშვილმა, ირაკლი ბახტაძემ და კირილე იოსელიანმა.

ტფილისიდან შემოსწირეს: ე. ი. პავჰანიძემ და ი. ი. გველესიანმა, ი. მ. ხარაევმა, ვ. სტეფანოვმა, ა. ნავასარტოვმა, ა. კოვალიოვმა, ტ. ნერსესოვმა, მ. ჯავახოვმა, ი. ბახშინოვმა, მანუკოვმა და მატინოვმა, ძმებმა ჯავახოვებმა, ნ. გ. თანდოევმა, გ. მ. ჩილინგაროვმა, ბ. ა. ნანაზიაშვილმა, ა. მ. ხახპაროვმა, ი. ჯანაშვილმა, ხ. ა. ბაბაევმა, ძმებმა ავეტისოვებმა, ბეგიჯანოვმა, დ. ოგანეზოვმა და ი. ხოჯაევმა.

ბაზრისა და სეირნობის ანგარიში: საქველმოქმედო ბაზრიდან შემოვიდა 274 36 კ., ბუფეტი 69 მ. 70 კ., ფოსტა და კონფეტი 26 მ. 3 კ., სხვა და სხვა ადგილიდან გამოგზავნეს ფულად 101 მ. 50 კ., სასეირნოდ შემომსვლელთაგან 232 მ. 75 კ., სხვა შემოსავალი 3 მ. 28 კ. სულ შემოვიდა—707 მ. 62 კ.

დაიხარჯა: მარკებზე 14 მ. 80 კ., ნივთების ყიდვა 30 მ., 65 კ., მეზურნეებს 6 მ., კიოსკებისა და თაროების გამართვა 10 მ. 68 კ., პატენტი 7 მ. 50 კ., განათება 5 მ. 41 კ., აფიშა და წერილები 14 მ. 50 კ., ბუფეტზე 28 მ. 56 კ., სხვა და სხვა 51 მ. 7 კ. სულ დაიხარჯა 169 მ. 17 კ., —ამგვარად წმინდა შემოსავალი იყო 538 მ. 45 კ. აქედან 269 მ. 22 კ. გადავეცით ხონის პროგიმნაზიას, ხოლო 269 მ. 23 კ. ქუთაისის გუბერნატორს დაზარალებულ ქალადიდელთა სასარგებლოდ.

ამასთანავე უღრმესს პატივისცემას ვუცხადებთ ჩვენს მხცოვანს პედაგოგს, დიდად პატივცემულ იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილს, რომელმაც 50 მანეთი მოგვაწოდა განსაკუთრებით ხონის სავაჟო პროგიმნაზიის სასარგებლოდ.

გამგენი: **ნინო ვიქტორის ასული ჯაფარიძისა, ი. ს. შარაშიძე.**

—

შემოწირულება ბაგრატის ტაძრის ნაშთის მთლიანად დაცვის სასარგებლოდ.

უღრმეს მადლობას უძღვნის კომიტეტი: ყ-დ სამღვდელო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზს ლეონიდეს, რომელმაც 25 მანეთი შემოსწირა; ეკატერინე იაკობ ნიკოლაძის ასულს, დიმიტრი ბახტაძეს, ფარნა გაბუნიას და გიორგი გორდაძეს, რომლებმაც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ფულის მოგროვებაში და ყველა ქვემო აღნიშნულ პირთ, რომლებმაც არ დაიშურეს ფულით შეწევნა.

სია შემომწირველთა: ყ-დ სამღვდელო ლეონიდემ შემოსწირა 25 მ., პ. გოკიელოვმა 5 მ., სამ სამი მანეთი შემოსწირეს: დ. ბახტაძემ, ი. გველესიანმა, ი. კემულარიამ გ. გოცირიძემ, ძმ. ქავჰანიძეებმა, გ. გორდაძემ და ს. წერეთელმა; ორ ორი მანეთი: ი. მოცონელიძემ, ს. მოცონელიძემ, ს. ოცხელმა, ზ. ბუტულოვმა, ლ. კოკოჩევმა და ვ. მელაშვილმა; თითო მანეთი: გაბუნიამ, ი. ხელაძემ, პ. ერიპოვმა, მ. ზვიადაძემ, ძმ. საკოვებმა, გვიჩიამ და ეფრემიძემ, მოსკოვის მაღაზიამ, ანტონ და ალექსანდრე ახვლედიანებმა, გ. გაბუნიამ, ტ. ლორიამ, ძმ. კუზანოვებმა, ნ. რაფაელოვმა. ი. გვეტაძემ, მ. გვარჯალაძემ, ი. ქოლოკავამ, მ. მანაგაძემ. ნ. კიკაბაძემ ა. ყაზაროვმა, ბასილაძემ და კილოსანიამ, ფ. ჭელიძემ, კ. ქელბაქიანმა, ლ. ფილიპოვმა, გ. ეფრემიძემ, მ. რუსეიშვილმა, ე. ასათიანმა, ვოლოხმა, ს. ბოკერიამ, ფ. ფილიპოვმა, ნ. ჯაყელიძემ; ათ ათი შაური: დ. ყუფარაძემ, დ. ქებაძემ, მ. რუხაძემ, ნ. ნარეკელაშვილმა, გ. ცინცაძემ და მ. ასათიანმა, ა. ელიგულაშვილმა, მ. აჯიაშვილმა, ა. ჩხეიძემ და მამფორიამ, ა. გაბუნიამ, ს. რუხაძემ, ზ. ეფრაიმმა და გ. არჯევანიძემ, ნ. გრიგოლიამ, ე. პატარიძემ (30) ექვსი შაური. სახაზინო პალატიდგან შემოვიდა 5 მ. 9 კ., შემოსწირეს: ი. ჩიმაკაძემ 1 მ., გ. თუთბერიძემ 1 მ.; ათ-ათი შაური: ი. რამიშვილმა, Жуковскій და Пушкаревъ, ჩაჩავამ ექვსი შაური; თითო აბაზი: ლომიძემ, ყიფშიძემ და პავლოვმა, №—69 კ. სულ შესდგა 101 მ. და 39 კ., წინეთ იყო შემოსული 102 მ. და 34 კ.; ახლა არის სულ 204 მ. 34 კ.

კომიტეტის მონდობილობით წევრი კომიტეტისა **ა. გორგაძე.**

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა საზაფხულო მიმოსვლა.

(დრო პეტერბურგის საათითაა ნაჩვენები, რომელიც ადგილობრივ საათზე 54 წუთითაა უკან).

ტფილისიდან გადის:

1) **ბათუმისკენ:** N 1. I—III კლ. ჩქარი მატ. საღ. 10 ს. 10 წუთზე, გორში ჩადის ღამ. 12 ს. 8 წ., მიხაილოვში ღამ. 1 ს. 12 წ. რიონში დილ. 5 ს. ბათუმში დილ. 8 ს. 45 წ.

2) **საფოსტო** მატარ. N 3. I—III კლას. გადის დილ. 9 ს. 44 წ., გორში ჩადის 12 ს. 27 წ. მიხაილოვში ნაშუადღ. 2 ს. 1 წ., რიონში 6 ს. 35 წ., ბათუმში ღამ. 11 ს. 37 წ.

3) **სახალხო მატ.** დღის 4 ს. 17 წ. გორში ჩადის 6 ს. 56 წ., მიხაილოვში 8 ს. 29 წ.. რიონში 12 ს. 46 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 28 წ.

4) **შერეული მატარ.** N 107, მეოთხე კლასით, გადის საღ. 9 ს. 5 წ., გორში ჩადის ღამ. 1 ს. 20 წ., მიხაილოვში ღამ. 3 ს. 43 წ., რიონში დილ. 9 ს. 48 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 6 წ.

ბაქოსკენ: 1) სამგზავრო N 6. I—II. კლ. გადის დღის 2 ს. 56 წ., განჯაში ჩადის 8 ს. 59 წ., ბალაჯარში 6 ს. 38 წ., ბაქოში დილ. 7 ს. 15 წ.

2) **საფოსტო მატ.** N 4, I—III კლ. დილ 1 ს. 38 წ., განჯაში 5 ს. 39 წ., ბაქოში 1 ს. 44 წ.

3) **ჩქარი მატ.** № 2. I—III კლ. გადის 8 ს. 40 წ. დილ., განჯაში იქნება ნაშუად, 1 ს. 44 წ., ბალაჯარში საღ. 10 ს. 2 წ. ბაქოში საღ. 10 ს. 35 წ.

შერეული მატ. N 106, მე-4 კლასით, დილის 4 ს. 17 წ., განჯაში იქნება შუადღ. 12 ს. 28 წ., ბალაჯარში 3 ს. 35 წ., ბაქოში ღამ. 4 ს. 46 წ.

ბორჯომისკენ: 1) **სახალხო** მატარებ. I—III კლ. N 7—8, გადის დილ. 7 ს. 20 წ., ბორჯომში ჩადის შუადღ. 12 ს. 40 წ.

2) **სახალხო მატ.** № 9—10, I—III კლას. გადის ნაშუადღ. 2 ს. 2 წ. ბორჯომში ჩადის საღ. 7 ს. 30 წ.

ჯულფასა და ერევნისაკენ:

1) საფოსტო მატ N 74—75, I—III კლას. გადის ღამ. 12 ს. 2 წ. ჯულფაში ჩადის ღამ. 11 ს. 48 წ.

2) **სამგზავრო და საქონლ.** N 78—79, II—III კლ. გადის ნაშუადღ. 4 ს. 50 წუთ. ერევანში ჩადის დილის 10 ს. 12 წ.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: ჩქარი მატარ. პლატხკ. N 1. I—III კლ. საღ. 9 ს. 26 წ. სამგზავრო N 5. I—III კლ. დღ 3 ს. 27 წ. საფოსტო N 3. I—III კლ. დილ. 8 ს. 54 წ., ნარევი N 107. მე-4 კლასით საღ. 8 ს. 7 წ.

ბათომიდან: სამგზავრო N 6, I—III კლ. ნაშუადღ. 1 ს. 56 წ., საფოსტო N 4, საღ. 10 ს. 42 წ., ჩქარი N 2, დილ. 7 ს. 54 წ. ნარევი მე-4 კლასით N 106, დილ. 3 ს. 19 წ.

ჯულფიდან: საღ. N 72—73, დილ. 6 ს. 40 წ., სამგზავრო და საქ. N 80—81, II—III კლ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

ერევნიდან: სახალ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: სამგზავრო N 7—8, დილ. 6 ს. 20 წ., სამგზ. N 9—10, საღ. 8 ს. 30 წ.

ქუთაისიდან გადის:

ტფილისისაკენ: სახალხო 5 ს. 15 წ. დილით., საფოსტო 2 ს. 3 წ. დღით. ჩქარი 1 ს. 00 წ. ღამით.

ბათომისაკენ: სახალხო 1 ს. 00 წ. ღამ. საფოსტო 6 ს. 52 წ. საღ., ჩქარი 5 ს. 15 წ. ღამით.

ფოთისაკენ: სახალ. 1 ს. 00 წ. ღამ. საფოსტო 6 ს. 52 წ. საღ., ჩქარი 5 ს. 15 წ. ღამ., სახალხო 4 ს. 22 წ. დღით.

მორაბნისაკენ: სახ. 5 ს. 6 წ. საღამ.

ტყიბულისაკენ: სახ. 3 ს. 28 წ. დღით. სახ.-საქ. 7 ს. 50 წ. დილით.

ქუთაისს მოდის:

ტფილისიდან: სახ. 2 ს. 25 წ. ღამ., საფ. 8 ს. 20 წ. საღ., ჩქარი 7 ს. 14 წ. დილით.
ბათომიდან: სახ. 7 ს. 14 წ. დილ., საფ. 3 ს. 25 წ. დღ., ჩქარი 2 ს. 25 წ.
ფოთიდან: სახალ. 7 ს. 14 წ. დღ., საფ. 3 ს. 25 წ. დღ., სახ. 10 ს. 21 წ. დილით.
მორაბნიდან: სახალხო 9 ს. 49 წ. დილ.
ტყიბულიდან: სახ. 11 ს. 12 წ. დილით. სახალხო-საქ. 6 ს. 46 წ. საღამოს.

ტფილისიდან მცხეთაში:

სახალხო მატ. N 77, I—III კლ. გადის ნაშუადღ. 2 ს. 43 წ., მცხეთაში მიდის ნაშ. 3 ს. 26 წ.

სახ. მატ. № 77, I—III კლ. გადის დილ 8 ს., მცხეთაში მიდის დილის 8 ს. 43 წ.

მცხეთიდან ტფილისში:

სახ. მატ. N 76, I—III კლ. გამოდის 12 ს. 11 წ., ტფილ. ჩამოდის 12 ს. 50 წ., სახალხო მატარ. N 76, გამოდის საღ. 6 ს. 51 წ. ტფილისში მოდის საღ. 7 ს. 30 წ.

შენიშვნები: 1) გადაუჯდომლად პირდაპირი მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომლიც ამიერ კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6, ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებითა).

2) 15 მაისიდან შეიძლება პირდაპირ გადაუჯდომლად მგზავრობა ტფილის-ბაქო-კისლავოდსკამდე, საერთაშორისო-საძილე ვაგონებით და ამიერ-კავკასიის NN 1—2, კავკავის გზის N 5—6.

3) 1) მაისიდან მიმოდიან ბაკურიანის ლიანდაგზე სამგზავრო № 76—77, მცხეთისა საგარაკო № 76, 77, 76a, 77a.

4) **შერეული** სახალხო მატ. მე-IV კლ. N 106 და 107, ბაქოსა და ბათომს შუა საჭიროების მიხედვით ივლის.

მეტეხისა და საგუბერნიო ციხეებში დატუსაღებულთა ნახვა შეიძლება დილის 10—2 საათამდე:

ხუთშაბათობით — ციხე - მისჯილთა (Крепостникъ) და იმ დატუსაღებულთა, რომელთაც პოლიტიკური დანაშაულობა ბრალდებათ და საქმე ჯერ გამოძიებაშია.

კვირაობით—ადმინისტრატიულად დასჯილთა, საპყრობილე და სატუსაღო მისჯილთა (Тюрем. заключ. და арестант. отд). და ყველა მათი, რომელ-იც სისხლის სამართალში არიან მიცემულნი და საქმე ჯერ გამოძიებაშია.

ყოველ თვის 20 რიცხვში (თვეში ერთხელ)—კატორღა-მისჯილთა.

დატუსაღებულთა ნახვისთვის ნებართვა—თუ დატუსაღებულის საქმე გათავებულია და უკვე სასჯელს იხდის—ციხის ადმინისტრაციისგან უნდა აიღოს; თუ საქმე ჯერ გამოძიებაშია ნებართვისათვის იმ პირს ან დაწესებულებას უნდა მიმართოს, რომლის ხელშიაც საქმე ირიცხება.

ყოველ კვირა-ხუთშაბათს შეიძლება გადაცემა ჩაი-შაქრისა (თამბ. პაპიროსი), ტანისამოსისა და ფულისა. ფულის მიცემის დროს საჭიროა ხარათის ჩამორთმევა. რისამე მიცემის დროს საჭიროა რამიაც იქნება გახსნილი გადასაცემი ზედ დაეკრას ქაღალდი. რომელზედაც ეწერება [illegible] გადამცემისა და გვარი ვისთვისაც არის დანიშნული.

შეიძლება გადაცემა აგრედვე წიგნებისა, მხოლოდ წინდა წინ ბრალმდებლისაგან ნებართვა უნდა იყოს აღებული.

განცხადებანი

მუხრანის კერძო
სამკურნალო
გაიხსნა
მუდმივის საწოლებით.
Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цицiановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

ატენიანცი ნ. ა. ყურ., ცხვ., ყელისა 10—11 საათამდე.
ნ. მ. ახპიხოვი—(მედ. ექ.), ყურისა, ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.
გ. ა. ახვერდოვი—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.
ა. ა. გაზაზოვი—შინაგან სნეულებან. დილის 10—11 საათ.
ტ. ი. გეორგ-ბეგიანი—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.
ქ. ა. გონიევი—ბავშვთა სნეულ. (სამშ. ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.
ა. ი. გრიგორიანი—ქირურგიულ სნეულ დილ. 11—12 საათ.
ი. გ. კალამკაროვი—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.
ა. ი. კატანიან—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.
მ. დ. კილოსანიძე—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.
გ. ა. მელქონიანი—ქირურგ. სნეულ 5—6 ს.
ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი—ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.
ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606"-ით.
დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.
სამკურნალოს გამგე ექ. ა. ი. გრიგორიანი. № 646. 100—5 (0—1003—78)

დოქტ. ნავასარდიანისა
ყოველ დღე, კვირეებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
დ ი ლ ი თ:
ზ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
უ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანახოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულიანი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.
ბ. გ. აგასაროვი: 1½—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშმიცი: 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
ო. ვ. გევეხკაია-ენგელი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. ფ. ვარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
11—12 ს. 606 წამლობა, კონსულტატიურად.
რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ზ. ა. ნავასარდიანი.
(წ. (1168—44)

◄ მშობიარეთათვის ►
თავშესაფარი
ბებია-ქალის
თუხარელისა.
ოლგას ქ., საბებიო ინსტიტ. პირდაპირ
მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.
მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6—7-დან ნაშუადღევის 12 ს.
(თ.—1083—43)

„სამკსლოზონი"
თმებისათვის
საპონი ეჭ. დიდიძისა
იყიდება ელისაბედის აფთიაქში (ქსენიევისა და ელისაბედის ქუჩების კუთხე).
(წლ.—1452—67)

ქ. თ ე ლ ა ვ შ ი
ისყიდება პირველად გამოსული ქართულ ენაზე
ჭრა-კერვის
● წიგნი ●
თვით-მასწავლებელი, 128 ნახატით. ახალი მეთოდი.
ექვს ნაწილად; ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული
სოფიო ი. სიმონოვის მიერ.
ფასი ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტს ერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც. ადრესი: Въ г. Телавъ, „Школа кройки и шитья Софіи Іосифовны Симоновой. Бульв. пер. 2. собс. домъ.
(100—1140—41)

გამოცდილი მასწავლებელი
ამზადებს ქალ-ვაჟს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლებისთვის
პირობებით:
სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, ეპარქიულ სასწავლებლისთვის, ტეხნიკურ, საფერშლო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლისთვის. აგრედვე პოვივალნი ინსტიტუტისა, მიიღებს პერეეკზამენოვკიანებსაც.
ამზადებს ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის ხარისხზე.—ყველა კლასის ჩინზე. ღებულობს ანბანის უცოდინარ ქალ-ვაჟებს.
მეცადინეობა იქნება სამ ალაგას: ვარანცოვის ძეგლის მახლობლად, ვაგზალზე და ვერაზე. მონაწილეობას მიიღებენ მასწავლებლები მცოდნენი უცხო ენებისა.. მეცადინეობა დაიწყება დილის 8 ს-დან საღამოს 8 საათამდე. დროებით მასწავლებელთან მოლაპარაკება შეიძლება თავისუფლად 2-საათ. დღით 6 საათამდე. მსურველს შეუძლიან ინახულოს სხვა დროსაც...
დროებითი ადრესი: Черкезовская ул. (бывшая Авчальская ул.) д. № 133. „შესავალი უმთავრეს კარებიდან".
(9—1084—5)

ზ. გლეზერი
(დორის-მელიქოვის ქ. № 4, ძველ სემინარიის შენობის პირდაპირ).
ევროპიული სამრეცხველო,
ლაქის ამომყვანი და სამღებრო.
ხელ-ახლად გადაკეთებულია ტეხნიკისა და ჰიგიენის უკანასკნელ მოთხოვნილების თანახმად. საქმეებს შეუჩერებლივ ვიკვეთავთ. საქმეები სრულდება სპეციალისტ-ოსტატთა მეთვალყურეობით. ყველა ფერი კეთდება სწრაფად და შეუდარებლად.
არის განყოფილება ვორონცოვის ძეგლის მახლობლად.
ფასები ხელმისაწდომია (55—1306—1)

იყიდება ყველგან
საუკეთესო ღირსების
და ნადუღი წყლისაგან დამზადებული
პურის კვასი
„გემო"
კვასი „გ ე მ ო" იყიდება ყველგან. ბოთლი 10 კაპ., ნახევარ ბოთლი 5 კაპ. პირდაპირ ქარხნიდან წამღებ მუდმივ მხმარებელს მიეცემა ყინულში გაციებული და ფას დაკლებით. ქარხანა იმყოფება: ვერაზე, ბელინსკის ქ. № 13, სათავად-აზნაურო დეპუტატთა საკრებულოს მახლობლად.
(15—1281—7)
მოითხოვეთ ყველგან

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა
სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ
ძმ. ძეგველოვების
● მ ა ღ ა ზ ი ა ს ●
პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,
ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის
ახალ-ახალი
ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).
ხიზილალა
ახალი (Зернистая).
პარკისა და კოლოფებით
საუკეთესო დოშები და ზურგიელები
მიღებულია ღვინის ორაგული (სიომგა)
მივიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა
გირვანქა 2 მ.-დან 2 მან. 40 კ.-დე.
წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. გირ.
და ბელა-რიბიც 50 კ.
აგრე ივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.
(წ—1053—)
საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა
საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა
საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა

სტამბა „სორაპანი", მადათოვის კუნძული.
რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.